ახალი განათლება

2013 წელი, 14-20 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№34 (628) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მთავარი გამოცდილებაა და არა სერტიფიკატების რაოდენობა

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია

დავით კახაბერი

გვერდი 4

სადისკუსიო კლუბი

გამოხმაურება ბ-ნ გია მურღულიას წერილზე „წიგნიერების პრობლემა საქართველოში“

გვერდი 2

კონკურსი

კონკურსი უფროსკლასელთათვის „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“

გვერდი 3

სასერტიფიკაციო გამოცდა

ბიოლოგიის და გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 6-7

გამომცემლობა „დიოგენე“

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მალრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
კონსპექტი საატესტატო გამოცდისთვის
მ. მაყაშვილი
ფასი – 3.50 ლარი

ქიმია
დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი, ნ. მაისურაძე
ფასი – 7.50 ლარი

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია
XI–XII კლასები, კონსპექტი საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე
ფასი – 6.50 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

„წიგნის თარო“

გამოვიდა ახალი ტომები სერიიდან „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ჯოზეფ კონრადი
ლორდ ჯიმი

რაფაელ საბატინი
ღამეული გართობანი
ისტორიის მიღმა

ერნსტ ჰოფმანი
სატანის ელექსირები

ფასი – 12 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА

შრომის კოდექსზე მუშაობა გრძელდება

ანა ფირცხალაიშვილი

7 ნოემბერს, პროფკავშირების ცენტრალურ ოფისში, შრომის კანონმდებლობის რეფორმირების საკითხზე კონფერენცია გაიმართა. ცვლილებები და დამატებები, ამჯერადაც, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ **ზურაბ კიკნაძემ** წარმოადგინა და იგი ძირითადად, ქალთა შრომით უფლებებს ეხებოდა. დღემდე მოქმედი დოკუმენტისგან განსხვავებით, განსახილველ პროექტში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, ორსულ, ახალნამშობიარებ, მეძუძურ და მცირეწლოვან ბავშვებთან მიმართებაში ქალთა უფლებები, ცვლილობა და ზეგანაკვეთური სამუშაო, დამატებითი შესვენება, ბავშვის მოვლასა თუ შვილად აყვანასთან დაკავშირებული შეღავათები და ა.შ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ქალთა შრომითი უფლებების გაზრდას სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ეს მაქსიმალურად იქნება ასახული ახალ კანონში. ამის გარანტიას იძლევა ისიც, რომ დაინტერესებული უწყებების – პროფესიული განათლების პროფკავშირი, განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის, ფინანსთა, ეკონომიკის სამინისტროების წარმომადგენლები, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები, აქტიურად არიან ჩართულნი განხილვებში.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით აქტიური ამ მხრივ პროფესიული განათლების პროფკავშირია, რადგან ბოლო წლებში საკანონმდებლო (და არა მხოლოდ საკანონმდებლო) დონეზე გატარებულმა ცვლილებებმა დიდწილად შეაფერხა (რიგ შემთხვევებში, დააზარალა) სისტემის განვითარება. პროფესიულ განათლებაში დასაქმებულ პედაგოგთა შრომითი უფლებების საჯარო და უმაღლესი განათლების პედაგოგთა უფლებებთან გათანაბრებას და ახალ დოკუმენტში მის ასახვას მოითხოვს პროფგანათლების პროფკავშირის თავმჯდომარე **დენის დავითაშვილი.** *„ბოლო 4 თვე ინტენსიურად ვითანამშრომლეთ იუსტიციის სამინისტროსთან, რომელიც თავად არის საკითხის ინიციატორი და ბევრ ცვლილებაზეც შევთანხმდით. მართლაც სასწრაფოდ იყო საჭირო შრომის კოდექსის შეცვლა. ამისთვის წლების განმავლობაში უშედეგოდ ვიბრძოდით. ახლა, როცა პროფესიულ კოლეჯებში სწავლის ხანგრძლივობა, მინიმუმ, ერთწლიანი პროგრამით განისაზღვრება და პედაგოგის საათობრივი ანაზღაურებაც 3-7 ლარიდან 8 ლარამდე გაიზარდა, აუცილებელია შვებულების საკითხიც გადაწყდეს. ჩვენი პედაგოგების შვებულებისა და საშვებულებო ანაზღაურების საკითხს კანონი არ არეგულირებდა. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა, განათლების მინისტრის 2007 წლის №959 ბრძანების 2013 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებით, რომელიც განსაზღვრავს პედაგოგთა შვებულებისა და ანაზაურების საკითხს, დაზუსტდეს, რომ ეს ეხება პროფესიული კოლეჯის მასწავლებელსაც და საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ასე – „პროფესიული კოლეჯის პედაგოგები სარგებლობენ (და არა „შეიძლება მიეცეთ“, როგორც ბრძანებაშია) ყოველწლიურად არანაკლები 40 სამუშაო დღის ანაზღაურებადი შვებულებით“* – გვითხრა ბატონმა დენისმა. საქმე ისაა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში არც ერთ პედაგოგს ამ უფლებით არ უსარგებლია. გარდა ამისა, არ არსებობს ქვეყანაში სხვა სფერო, რომელში დასაქმებულებს განსაზღვრული აქვთ განსხვავებული შვებულების ხანგრძლივობა.

კონფერენციას ესწრებოდა ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენელი **შოთა გუნია**. ცხადია, შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები და დამატებები 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში პროფესიული განათლების განვითარებისა და ზოგადად, ქალთა უფლებების დაცვის ნაწილში სათანადო ასიგნებებს მოითხოვს.

გაითვალისწინებს თუ არა ფინანსთა სამინისტრო კონფერენციაზე შეთავაზებულ წინადადებებს ბიუჯეტში, მომავალ შეხვედრაზე გამოჩნდება.

სადისკუსიო კლუბი

გამოხმაურება ბ-ნ გია მურღულიას წერილზე „წიგნიერების პრობლემა საქართველოში“

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში არსებული სირთულეებისა და პრობლემების მოკლე მიმოხილვა

პრობლემა, რომლის ანალიზსაც ეძღვნება ზემოხსენებული წერილი, მრავალწახნაგოვანია და ერთ სტატიაში ძნელია ყველა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ამიტომ ვეცდები, თქვენი ყურადღება შევაჩერო მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე.

აღბათ ყველას დაამახსოვრდა წლევანდელი სასერტიფიკაციო გამოცდები თავისი სავალალო შედეგებით და საზოგადოების დიდი ნაწილის მყისიერი რეაქცია ამ შედეგებზე. პედაგოგთა მრავალათასიან კორპუსს თითქოს სილა გააწნეს ისე, რომ თავში არავის მოსვლია დამდგარი შედეგის გამომწვევი მიზეზების კვლევა. მე პირადად სამი სერტიფიკატის მფლობელი მასწავლებელი ვარ (2010, 2012 და 2013 წლების სასერტიფიკაციო გამოცდების საფუძველზე), მაგრამ ისევე ვარ შეურაცხყოფილი საზოგადოების მხრიდან, ერთი მხრივ, მასწავლებელთა მიმართ ღირსების შემლახველი დამოკიდებულებითა და, მეორე მხრივ, გაუმართლებელი ინდიფერენტულობით დამდგარი შედეგის გამომწვევი მიზეზების მიმართ, როგორც ამ საპატიო პროფესიის ნებისმიერი წარმომადგენელი.

საზოგადოების ყველა წევრი თანხმდება, რომ მათი შვილების სწავლება და აღზრდა უნდა მივანდოთ გამოცდილ, პროფესიონალ მასწავლებელს, რომელიც აღჭურვილია ღრმა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული პედაგოგიური უნარ-ჩვევებით, მაგრამ **კონკრეტულად რა კეთდება იმისათვის, რომ სკოლებში გვყავდეს ასეთი და მხოლოდ ასეთი მასწავლებლები?** გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის 2005-2012 წლების ეროვნული გამოცდების შედეგების არქივის მასალებზე დაყრდნობით შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად პოპულარულია მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებს შორის და როგორი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ მას. რადგან აბიტურიენტის აკადემიური მოსწრების დონე მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებას, სწორედ მიღებული სასწავლო გრანტი ავირჩიეთ აკადემიური მოსწრების ინდიკატორად. ამ სტატიაში არ მოვყვები მონაცემთა ანალიზით მიღებული შედეგების დაწვრილებით აღწერას, რადგან აღნიშნულ საკითხს ეძღვნება ჩემი მოხსენება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ მასწავლებელთა I რესპუბლიკურ კონფერენციაზე. ამჟამად შემოვიფარგლები მხოლოდ ზოგადი ტენდენციების მიმოხილვით.

მონაცემთა ანალიზმა გვაჩვენა, რომ მასწავლებლის პროფესია ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარულია და მას ძირითადად დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ირჩევენ. შეიძლება ვინმე შემედავოს, რომ მასწავლებელთა შორის მრავლადაა ე.წ. არაპედაგოგიური, მაგრამ სასკოლო დისციპლინების სწავლებასთან დაკავშირებული პროფესიების წარმომადგენლებიც, მაგალითად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ან ჰუმანიტარული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებიც, მაგრამ ასეთი ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამებზე სავალდებულო 240 კრედიტის ფარგლებში, უკეთეს შემთხვევაში, არის საგნის მასწავლებლის 60-კრედიტიანი არჩევითი ბლოკის ან კონცენტრაციის გავლის შესაძლებლობა, (მაგალითად, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის კონცენტრაცია „მათემატიკის მასწავლებელი“). უმრავლეს შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში საერთოდ არაა გათვალისწინებული პედაგოგიკასთან დაკავშირებული საგნები ან მოდულები, ისეთები, როგორიცაა მაგ: საგნის სწავლების მეთოდიკები (ზოგადი და კერძო), აგრეთვე განათლების ფსიქოლოგია, განათლებისა და სწავლების თეორიები, ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგია და სხვა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს, მიუხედავად ღრმა საგნობრივი ცოდნისა, არ გააჩნიათ პროფესიული პედაგოგიური უნარები, სათანადოდ ვერ ფლობენ საგნის სწავლების მეთოდიკას. მათი მისამართით ხშირად გაიგონებთ, რომ ბრწყინვალედ იცის საგანი, მაგრამ მასალის ახსნა და გადმოცემა მოსწავლისთვის გასაგები ლექსიკით არ შეუძლია.

საინტერესოა ისიც, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტები ნაკლებად ირჩევენ არაპედაგოგიურ, მაგრამ სასკოლო დისციპლინების სწავლებასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ პროფესიებსაც. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის, რომ 2009 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე (001-02) ჩარიცხული 800 აბიტურიენტიდან 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა მხოლოდ 78-მა, ანუ ჩარიცხულთა 9,75%-მა, მაშინ როცა ამავე უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე (001-01) ჩარიცხულ ყველა აბიტურიენტს (885 კაცი) მოპოვებული აქვს დაფინანსება, მათ შორის, 100%-იანი გრანტით ჩარიცხულია 307 აბიტურიენტი, ანუ 34,7%.

პრობლემა, რომელსაც ჩვენ შევეხეთ, საინტერესოა გეოგრაფიული თვალსაზრისითაც. 2005-2012 წლების შედეგების მიმოხილვისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგიური კადრების მომზადება რეგიონული უნივერსიტეტების პრეროგატივაა, დედაქალაქის მაღალრეიტინგული სასწავლებლები არ, ან თითქმის არ მონაწილეობენ ამ პროცესში. თუმცა, 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე ამ კუთხით იყო სასიამოვნო სიახლეც, კერძოდ, პედაგოგიური სპეციალობები გამოჩნდა ისეთი უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებში, როგორიცაა ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (0010105) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (010010110) ძირითადი (major) სპეციალობის სახით.

ახლა უკვე შეგვიძლია ვუპასუხოთ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვასაც. როგორც დინამიკიდან ჩანს, წლების მანძილზე მდგომარეობა არ შეცვლილა, არავის შემოუკრავს განგაშის ზარები იმაზე, რომ პედაგოგიური პროფილის საბაკალავრო პროგრამებზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტების ნაკლებობაა, არავის გაუკეთებია პროგნოზი, რომ ყოველივე ეს რამდენიმე წელინადში გამოიწვევდა იმ შედეგს, რაც დღეს მივიღეთ. ახლაც კი ფაქტის წინაშე მდგომი საზოგადოება ძირითადად დაკავებულია მხოლოდ ამ ფაქტის ტირაჟირებითა და ღირსებაშელახულ მასწავლებელთა კორპუსისაკენ თითის გაშვერით და არა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებით, არავინ ახსენებს მოტივაციის (მატერიალური თუ მორალური) არარსებობას.

შემდეგი პრობლემა და ამასთან, საკმაოდ მტკივნეული, არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამების შეუსაბამობა საათობრივ ბადესთან. ესგ-ის შესავალში გარკვევითაა ნათქვამი, რომ **პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი.** შემოთავაზებული საათობრივი ბადე კი თითქმის არ ითვალისწინებს ინდივიდუალური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით განსხვავებული მოსწავლეების სწავლებისთვის საჭირო საგაკვეთილო დროს. მაგალითისთვის, მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო, ერთი მხრივ, საბაზო საფეხურზე მათემატიკის სასწავლო პროგრამის უზარმაზარ მოცულობაზე და, მეორე მხრივ, საათობრივი ბადით გათვალისწინებულ 4 კვირეულ საათზე.

ბოლოს, მინდა ერთ ძალიან აქტუალურ საკითხსაც შევეხო, კერძოდ, საქმე ეხება სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის სიმწირესა და უხარისხობას. ზემოაღნიშნული პრობლემებით დამძიმებული პედაგოგები ამ მხრივაც მეტად შეზღუდულები არიან არჩევანში. თითქმის ყველა საგნის მასწავლებელი წუხს იმაზე, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა უღარიბესია, ზოგ საგანში კი ალტერნატივა პრაქტიკულად არ არსებობს. ბუნდოვანია სახელმძღვანელოების გრიფირების წესიც. ხშირ შემთხვევაში გაუგებარია, რა კრიტერიუმებით მიენიჭა ამა თუ იმ სახელმძღვანელოს გრიფი, იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი სრულად არ ფარავს საგნობრივ სტანდარტს, ზოგი მხოლოდ მაღალფარდოვანი აკადემიური ენით დაწერილი თეორიული მასალითაა გაჯერებული, ხოლო სავარჯიშოები და დამოუკიდებლად სამუშაო მასალა მცირეა და მიღებული ცოდნის განმტკიცებისათვის არაა საკმარისი. არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს აკადემიური ენის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ მე-9 კლასელ მოსწავლეს ვერ მოსთხოვ, მე-2 კურსელი სტუდენტივით აზროვნებდეს და მეტყველებდეს. რაც შეეხება გრიფირებული სახელმძღვანელოების თანმხლები მეთოდური ლიტერატურის ხარისხს, ხშირ შემთხვევაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ან რა ხარისხზე შეიძლება საუბარი, როცა დაახლოებით 350-გვერდიან მოსწავლის სახელმძღვანელოზე გვაქვს 100 გვერდიანი მეთოდური ბროშურა, რომელშიც ტექსტის ნახევარი გადმოკოპირებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საგნობრივი სტანდარტებიდან და წლის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან. მათში არაფერია ნათქვამი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმილი, სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით გაჯერებული, საინტერესო და სახალისო გაკვეთილების, ინტეგრირებული გაკვეთილების, პროექტ-გაკვეთილების ჩატარების შესახებ და თუ ყოველივე ამის შემდეგ მასწავლებელი მაინც ფლობს სათანადო საგნობრივ და მეთოდოლოგიურ ცოდნას მოსწავლეების მოტივაციისა და მაღალი აკადემიური შედეგების უზრუნველსაყოფად, მაინც ახერხებს, მიიზიდოს მოსწავლის ყურადღება და საგაკვეთილო პროცესი გახადოს მოსწავლისთვის საინტერესო, ეს მხოლოდ მისი თავდაუზოგავი შრომის, ძიების, შემოქმედებითი უნარის, თვითგანვითარებაზე დაუღალავი ზრუნვისა და, რაც მთავარია, ბავშვების, მოსწავლეების, აგრეთვე საკუთარი პროფესიის დიდი სიყვარულის გამოხატულებაა და არა ვინმესგან მიღებული ქმედითი დახმარების შედეგი.

დასასრულ, მინდა მქონდეს იმედი, რომ ბატონი გიას წერილი არ დაემსგავსება ერთი მერცხლის ჭიკჭიკს, რომელიც გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ასევე მინდა მჯეროდეს, რომ არც ეს სტატია დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, დაინტერესებული ადამიანი მასში აღმოაჩენს არაერთ საკითხს, რომელზეც ღირს საზოგადოების დაფიქრება, შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის გზების ძიება. დროა, ყველამ გააცნობიეროს, რომ მასწავლებელს საზოგადოებაში უდიდესი მისია აკისრია, მას ვანდობთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს – ჩვენი შვილების მომავალს, აქედან გამომდინარე, იგი უფლებამოსილია, ჰქონდეს საზოგადოების მხრიდან სათანადო ყურადღების, მისი შრომის აღიარებისა და დაფასების იმედი და მოლოდინი.

მადონა ნიკოლაიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მიმართულების დოქტორანტი, თბილისის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

კონკურსი

კონკურსი უფროსკლასელთათვის „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების მხარდაჭერით აცხადებს ერთობლივ კონკურსს თემაზე „ტრადიციული ხელსაქმე და ხელოსნობა“. კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ხელსაქმისა და ხელოსნობის დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს საქართველოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:
პირველი ტური

ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა)**, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ძირძველი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება ხელსაქმეს ან ხელოსნობას. ასეთი შეიძლება იყოს:

ქსოვა (მათ შორის სამოსის, მისი ატრიბუტების, საყოფაცხოვრებო ნივთების: სუფრა, ხურჯინი, ფარდაგი, ხალიჩა და სხვა) – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ქარგვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ნაგდის მოთელვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თექა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერები, ძაფი, მასთან დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

ძაფის დართვა და შეღებვა – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ბუნებრივი საღებავების გამოყენება – მათი მოპოვების და დამუშავების ტექნიკა, მასთან დაკავშირებული რიტუალები;

თოჯინებისა და სათამაშოების დამზადება – ტრადიციული ტექნოლოგია, ინსტრუმენტები, ნედლეული, მნიშვნელობა და გამოყენების წესები;

საკრავების დამზადება – ნედლეული, მისი მოპოვება, მომზადების ტექნოლოგია, მასთან დაკავშირებული რიტუალები, ინსტრუმენტები, ტრადიციები;

ხის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – ხის შერჩევის, მოჭრის, გამოშრობის, მასალის დამზადების ტრადიციული მეთოდები (ყავარი, აივნის ჭვირული, მუშარაბი, ოდა, ფაცხა, მესერი და სხვა), მასთან დაკავშირებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხის ნაკეთობები (ავეჯი, საყოფაცხოვრები ნივთები, სკივრი, გობი და სხვა) – მასალის შერჩევის, დამზადების ტრადიციული მეთოდები, მასთან დაკავშრებული რიტუალები, ატრიბუტები და ინსტრუმენტები;

ხეზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ორნამენტი, ფერი, საღებავი, მასთან დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

წნულის ხელობა (საყოფაცხოვრებო ნაგებობები, ღობე, საოჯახო ატრიბუტები, სარიტუალო და სხვა ნაკეთობები) – ნედლეული და მისი მოპოვება, წნულის დამზადების ტექნოლოგია და დიზაინი, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, ტრადიციები და რიტუალები;

ლითონის დამუშავება (საყოფაცხოვრებო ნივთები, საბრძოლო ინვენტარი, სამკაული და სხვ.) – ნედლეული, ტრადიციული მოპოვებისა და დამუშავების ხერხები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ლითონის დეკორატიული დამუშავება – ნედლეული, ორნამენტი, დამზადების ტექნოლოგია, და ინსტრუმენტები, ფერები, ნედლეული, დაკავშირებული ატრიბუტები და რიტუალები;

თიხის დამუშავება (სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო ნივთები: ჭურჭელი, ქვევრი, თონე და სხვა) – სხვადასხვა მიზნით თიხის მოპოვების, მომზადების, გამოწვის ტრადიციები, მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და რიტუალები;

ჭიქური – ინსტრუმენტები, ფერი, საღებავი და სხვა ნედლეული, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

ქვის სამშენებლო მასალის გამოყენების ტრადიციული ხერხები – კარიერები, მოპოვება, ტრანსპორტირება, ინსტრუმენტები, რიტუალები და ატრიბუტები;

ქვაზე დეკორატიული კვეთა – ინსტრუმენტები, ნედლეული, ორნამენტი, დაკავშირებული რიტუალები და ატრიბუტები;

სხვა რამ, რაც უკავშირდება ხელსაქმესა და ხელოსნობას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com

ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადაა 2014 წლის1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*

2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი;*

3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი;*

4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;

5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი;*

6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი);

7. ტექნოლოგიის მოკლე აღწერა.

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

❖ რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*

❖ *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*

❖ ზოგადი აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*

❖ დამზადების/შესრულების ტექნოლოგია – *ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის დამზადების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*

❖ *ორნამენტი;*

❖ *შემსრულებლები (მეთუნე, მქარგავი, ხურო და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*

❖ *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*

❖ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. *დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისათვის.*

სასურველია სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400-500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
(32)298-39-24, 13 საათიდან 15 საათამდე ან 599 62 34 99
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

მთავარი გამოცდილებაა და არა სერტიფიკატების რაოდენობა

ესაუბრა მაკა ყიფიანი

რუბრიკის სტუმარია დავით კახაბერი

– საუბარი მოსწავლეობის პერიოდიდან დავიწყოთ... საინტერესო პროფესიებიდან, საბოლოო არჩევანს, ფილოსოფიაზე აკეთებ, შემდეგ სასწავლებლად უცხოეთში მიემგზავრები... რამ განაპირობა პროფესიის არჩევა?

– ვსწავლობდი თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში. ჯერ კიდევ მოზარდობისას დავინტერესდი ქრისტიანული თეოლოგიით, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტიკისა და სოციალური მეცნიერებების შესწავლა გადავწყვიტე. პირველ კურსზე ფილოსოფიის შესავალს გავდიოდი და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ეს სფერო ჩემს პროფესიად მექცია. თავიდან დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. იქიდან გამომდინარე, რომ ეს უნივერსიტეტი კომპეტენტური კადრებითა და მაღალი სტანდარტებით არ გამოირჩეოდა, სასწავლებლის შეცვლა გადავწყვიტე და ილიას უნივერსიტეტში გადავედი. იქ კი, სახელდობრ ფილოსოფია ავირჩიე პროფესიად. ოთხწლიანი ბაკალავრიატი სადიპლომო ნაშრომით – „ფროიდის „შემზარავის“ ასპექტები რენე ჟირარის „განტევების ვაცის“ თეორიაში“ – დავასრულე. ამის შემდეგ მაგისტრატურაში ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას და საბუთები ერაზმუს მუნდუსის პროგრამაზე – „ევროფილოსოფია – გერმანული და ფრანგული ფილოსოფიები ევროპულ სივრცეში“ – გავგზავნე. დადებითი პასუხის შემდეგ სასწავლებლად ტულუზის უნივერსიტეტში წავედი.

– რა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი, ტულუზის უნივერსიტეტში რომ ჩაირიცხოს, რამდენწლიანია და რა ღირს სწავლა? სტიპენდიის შენარჩუნება რთულია?

– ევროფილოსოფია ერაზმუს მუნდუსის პირველი აქტივობის პროგრამაა, რაც ოთხი სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა უნივერსიტეტში მობილობასა და გამუდმებულ მოძრაობას გულისხმობს. ჩემი ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც ფრანგულ ფილოსოფიას უკავშირდება, მხოლოდ ფრანკოფონულ უნივერსიტეტებზე შევჩერდი და ტულუზასა და პრაღაში ვისწავლე ფრანგულ ენაზე. ამ პროგრამის შესარჩევი ეტაპები მარტივია, თუმცა მრავალ დოკუმენტს მოითხოვს. შესაბამისად, ყველა ის კრიტერიუმი, რომლითაც კანდიდატი ფასდება, სხვადასხვა სტანდარტის დაკმაყოფილებას ითხოვს – იქნება ეს ნიშნების ფურცელი, სარეკომენდაციო წერილი თუ კვლევითი პროექტი. თითოეული მათგანი სტუდენტის შესაძლებლობების წარმოჩენას ემსახურება. სწორედ ამ დოკუმენტების განხილვის შემდეგ წყვეტს აკადემიური საბჭო მიანიჭოს თუ არა სტუდენტს სტიპენდია, რომელიც ფარავს როგორც ცხოვრების, ასევე სწავლის საფასურს. ფილოსოფიას ტულუზისა და პრაღის კარლის უნივერსიტეტებში ვსწავლობდი. პროგრამის ფარგლებში, სწავლა ორწლიანია და თითო სემესტრი, თუ არ ვცდები, ოთხი ათას ევრომდე ღირს, რასაც სტიპენდიანტი სტუდენტებისათვის პროგრამა ფარავს. სტიპენდიის შენარჩუნება კრედიტების მოპოვებაზეა დამოკიდებული.

– რამდენად მოთხოვნადი პროფესიაა „ფილოსოფია“ საქართველოში და საზღვარგარეთ? რასთან არის დაკავშირებული თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი ტენდენციები?

– ფილოსოფია ანტიკურ საბერძნეთში წარმოიშვა და, მოგეხსენებათ, მაშინდელი ბერძნული საზოგადოების სტრუქტურა საშუალებას იძლეოდა ეარსებათ ადამიანებს, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ ფიქრი და განსჯა იქნებოდა. ამიტომ მიმაჩნია, იმისათვის, რომ იყო ფილოსოფოსი მთელი შენი პროფესია აზროვნებასა და განსჯას უნდა დაუთმო ან პროფესიული სამუშაოს შემდეგ, ძალიან ბევრი თავისუფალი დრო უნდა გქონდეს.

თანამედროვე სამყაროში, სადაც სამეცნიერო დისციპლინები იმდენად დავიწროვდა, რომ ისეთი დისციპლინაც არსებობს, როგორიცაა კონფლიქტოლოგია, ფილოსოფია დღითი დღე ნაკლებად მოთხოვნადი ხდება. აქედან გამომდინარე, აკადემიური დაწესებულებებისათვის ფილოსოფიის დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების შენარჩუნება ერთგვარ ფუფუნებად იქცა.

დიდ ევროპულ უნივერსიტეტებში ფილოსოფიის სწავლება უკვე ტრადიციაა და აკადემიური სივრცის სიმბოლოდ იქცა. საქართველოში, უნივერსიტეტების სიმრავლის მიუხედავად, სტუდენტებს მხოლოდ ერთეულებში შეუძლიათ დაეუფლონ ფილოსოფიას, როგორც პროფესიას. დღესდღეობით, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალმცოდნეობა უფრო მოთხოვნადი სფეროებია, ვინაიდან ამ პროფესიების წარმომადგენლები უფრო ხილვად და სწრაფ პროდუქტს ქმნიან, ვიდრე ფილოსოფოსები, რომელთა საქმიანობაც, გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე ფილოსოფია თავის გადარჩენას ინტერდისციპლინარულობით ცდილობს. მაგალითად, შემეცნების თეორიის მკვლევარი ფილოსოფოსები ხვდებიან, რომ ნეირომეცნიერებების შესწავლის გარეშე შეუძლებელია შემეცნებაზე საუბარი, ამიტომ წარმოიქმნა ისეთი მიმდინარეობა, როგორიცაა ნეიროფენომენოლოგია. ამის ფონზე ფრანგული თანამედროვე ფილოსოფია პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს იყენებს სხვადასხვა განსჯებისათვის და ა.შ. პირობითად, ორგვარ ფილოსოფიას გამოვყოფდი – ხალხურს და აკადემიურს. ხალხური ფილოსოფია პირველი მოაზროვნე ადამიანის წარმოქმნის დღიდან არსებობს და სანამ ადამიანებს აზროვნება შეგვეძლება, ისიც იარსებებს. ხალხური ფილოსოფიაა, როგორც აბორიგენული ტომების მიერ შექმნილი მითები მზის ჩასვლა-ამოსვლასთან დაკავშირებით, ასევე ქართულ სუფრაზე გაჟღერებული სადღეგრძელოებიც.

აკადემიური ფილოსოფია ზედმიწევნითი და კრიტიკულია. მასში არ არსებობს დოგმატიკა და ყოველთვის ექვემდებარება კრიტიკას. თუ ფილოსოფოსმა არ იცის კაცობრიობის აზროვნებისა და იდეების ისტორია, შეიძლება იმის მტკიცება დაიწყოს, რაც უკვე ბევრჯერ განმეორებულა. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, ფილოსოფიური აზრი არგუმენტებით გამყარებას ითხოვს, ამის მოხერხება კი აკადემიური ტრადიციის გარეშე შეუძლებელია.

– საქართველოს პატრიარქი ერთ-ერთ ქადაგებაში ამბობს: *„კარგი იქნებოდა, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ისწავლებოდეს ზნეობრივი ფილოსოფიის კურსი. არ არსებობს ისეთი ღვთისმეტყველი ან ფილოსოფოსი, რომელიც არ ეხებოდეს ადამიანის ზნეობის საკითხებს. ამ ფილოსოფოსთა განსჯის გაცნობა მეტად გაამდიდრებს ჩვენი ახალგაზრდების სულიერ სამყაროს“.*

შენი აზრით, სად ხედავ შენი პროფესიის როლს სახელმწიფოში, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას ქვეყნისთვის?

– ილიას უნივერსიტეტში ვასწავლით საგანს, რომელსაც ეწოდება „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“. ამ საგნის ფარგლებში, პირველი კურსის სტუდენტები ეცნობიან ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან: პლატონი, პავლე მოციქული, მაკიაველი, კანტი და სხვები. ეს კურსი, ჩემთვის, ქართული აკადემიური სივრცის ძალიან დიდი მიღწევაა, ვინაიდან ამ ავტორთა იდეები და, ზოგადად, ეს ტექსტები სტუდენტებს ანახებს გზას სამოქალაქო საზოგადოებამდე და სამოქალაქო ცნობიერებამდე.

დღეს, როდესაც საქართველოში დარღვეულია ყველა ის პრინციპი, რომლებსაც ცივილიზებული საზოგადოება ეფუძნება, ვფიქრობ, ეთიკის ფილოსოფიის წარმოება და სწავლება ვიტალურ საჭიროებას წარმოადგენს.

განსაკუთრებით საყურადღებოა პიროვნებისა და თავისუფლების მნიშვნელობის გაგება. ჩვენ არაერთხელ გვინახავს საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ერთმანეთს ცხოველური აგრესიით ეპყრობიან. ამ აგრესიას ვაწყდებით როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე უზარმაზარი მასშტაბით, როდესაც ერიც და ბერიც, ხუთიათასამდე ადამიანი, მოსაკლავად მისდევს ოცდაათ ადამიანს.

ეს ყველაფერი იმის მაგალითია, რომ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთს აღიქვამენ საშუალებად და არა მიზნად. ინსტიტუციები, რომლებიც უნდა ზრუნავდნენ ერის ზნეობრივ განვითარებაზე, დღეს, საკუთარ ფუნქციას ვერ ასრულებენ. ამიტომ ფილოსოფიას ბევრი საქმე აქვს. დღეს, ჩემი აზრით, ქართული ფილოსოფია სწორედ ეთიკური ნორმატივების კულტივირების პროცესში შეიძლება განვითარდეს და საბოლოო პროდუქტად ჯანსაღი სამოქალაქო ცნობიერება შექმნას, რომელიც სიძულვილისა და სტერეოტიპული აზროვნებისაგან იქნება დაცლილი.

– ამბობენ: ბევრისთვის ფილოსოფია ფუჭად დროის ხარჯვაა, რადგან ფილოსოფიურ კითხვებს პასუხი მანამ არ გაეცემა, სანამ კაცობრიობა იარსებებს – ეთანხმები, დავით, ამ მოსაზრებას?

– წინა შეკითხვის პასუხიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ ფილოსოფია ხშირად ისეთ იდეებს ქმნის, რომლებიც რევოლუციური მნიშვნელობისაა ხოლმე საზოგადოებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია განმანათლებლობა და საფრანგეთის რევოლუცია. ფილოსოფიურ კითხვებზე პასუხის გაცემა აბსოლუტურად შესაძლებელია და ამას უკვე ვხედავთ, თანამედროვე დასავლური საზოგადოებისა და ცივილიზაციის სახით. ვფიქრობ, ფილოსოფია მას შემდეგ ხდება დროის ფუჭი ხარჯვა, როცა აკადემიურ სივრცეს სცილდება და, ბევრ შემთხვევაში, ეზოთერიკას ემსგავსება.

– პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ, ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანთან მოგიწია შეხვედრა. მიამბე, ტულუზის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების მნიშვნელობაზე ...

– ტულუზის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში საშუალება მქონდა შევხვედროდი სხვადასხვა საინტერესო მოაზროვნეს. პირველ სემესტრში, სწავლის დაწყებამდე, საზაფხულო სკოლის მსგავსი საინტეგრაციო სემინარები გვქონდა. ამ სემინარებისა და ატელიეების ფარგლებში, ერთ საინტერესო და საკმაოდ ცნობილ თანამედროვე ფილოსოფოსთან მომიწია შეხვედრა – ლუის გორდონი ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან გვეწვია. ძალიან საინტერესო პიროვნება იყო, გერმანელი ფილოსოფოსების ფონზე, რომლებიც ძირითადად ეტიკეტის ყველა წესს იცავენ, ფეხშიშველი იყო და გულზე პატარა საქსოფონი ეკიდა. მოგვიანებით გაგვიმხილა, რომ ფილოსოფიისგან თავისუფალ დროს ჯაზს უკრავდა. ეს პიროვნება თანამედროვე ფილოსოფიაში ე.წ. შავი ეგზისტენციალიზმის კვლევებითაა ცნობილი. ეს მიმდინარეობა შეისწავლის რასობრივ უმცირესობებს ეგზიტენციალურ და ფენომენოლოგიურ ჭრილში.

რაც შეეხება ტულუზის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, საკმაოდ დიდია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალაქის მედიათეკა გაცილებით უფრო ფართო არჩევანს იძლევა და ჩემი საყვარელი შენობა იყო, უთვალავი წიგნითა და სხვა აუდიო და ვიზუალური მასალით. ყოველივე ეს, სტუდენტებს, ჩვენი კვლევების დროს, სასიცოცხლო დახმარებას გვიწევდა.

– ზოგადად, რა შეგიძლია მიამბო ფრანგული საუნივერსიტეტო განათლებაზე

– ფრანგულ უნივერსიტეტებს ლიბერალური განათლების პოლიტიკა აქვთ არჩეული, რაც იმასაც გულისხმობს, რომ სტუდენტი უფრო მეტ დროს უთმობს კვლევას, ვიდრე კონკრეტული ფორმულის დაზეპირებას. ეს იმის საშუალებასაც იძლევა, რომ შეინარჩუნო შენი ინტერდისციპლინარული ინტერესები, რასაც, როგორც წესი, უნივერსიტეტები მხარს უჭერენ და ახალი იდეებისთვის ბოლომდე ღია რჩებიან.

– სწავლის პერიოდში ხომ არ მოგიწია სასწავლებლიდან რომელიმე ქვეყანაში სტუმრობა? კერძოდ სად და რა მიზნით?

– სწავლის პერიოდში, პროგრამის მონაწილეები, ორ-ორი კვირით, ორჯერ ვიყავით სამუშაო სემინარებზე. ერთხელ – ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში და მეორედ – პარიზში, ეკოლ ნორმალ სუპერიორში. სემინარებზე საშუალება გვქონდა, ჩვენ თვითონ დაგვეორგანიზებინა ატელიეები სხვადასხვა თემებზე, იქნებოდა ეს სპინოზას ფილოსოფია, ჰუსერლის ფენომენოლოგია თუ ფემინიზმის უახლესი დისკურსი.

– მიამბე, როგორია ფრანგი ხალხის, ახალგაზრდების ცხოვრება, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– საფრანგეთი ჩემი საყვარელი ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებლად უძვირესი და ინფრასტრუქტურულად არც ისე „იუზერფრენდლი“ ქვეყანაა, მაინც ძალიან მიყვარს. ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობდი – ტულუზა, დაახლოებით თბილისის ზომისაა, მაგრამ შედარებით ნაკლები მოსახლეობით. შუა საუკუნეების ქალაქია და მის გულში ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე – თომა აქვინელი განისვენებს. მსგავსი მედიავისტიკური მისტიკური ესთეტიკის ფონზე, ტულუზა სტუდენტური ქალაქია და ყოველთვის მოძრაობაშია. ყოველ საღამოს კაფე-ბარების მაგიდები იშლება ვიწრო ქუჩებში და გვიანობამდე ხმაურია.

სტუდენტები სხვადასხვა სპეციალობებს ეუფლებიან, მაგრამ, როგორც პირადი საუბრებიდან ვიცი, საფრანგეთშიც ბიზნეს ადმინისტრირება და სამართალმცოდნეობა გამოირჩევა პოპულარობით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჰუმანიტარული ფაკულტეტები მაინც არ უჩივიან სტუდენტთა რაოდენობასა და ინტერესს.

– სტუდენტური არდადეგების პერიოდში, გქონდა საშუალება სხვა ქვეყნებში გემოგზაურა?

– სწავლის პერიოდში ხშირად გვქონდა ერთკვირიანი დასვენებები, რაც საშუალებას იძლეოდა მემოგზაურა. საფრანგეთსა და ჩეხეთში სწავლის პერიოდში სხვა ბევრ ევროპულ ქალაქსა და ქვეყანას ვესტუმრე. თანამედროვე ხელოვნება მაინტერესებს და ამიტომ, ჩემი მიმართულება ხშირად გალერეებისა და მუზეუმების კალენდრებითაც განისაზღვრებოდა ხოლმე.

– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

– ამჟამად თბილისში ვიმყოფები. ჩემს მეორე სამაგისტრო პროგრამას – პოლიტიკის ანთროპოლოგიას დავუბრუნდი. მიმაჩნია, რომ პოლიტიკის ანთროპოლოგია გაცილებით მულტიდისციპლინარულია, ვიდრე ფილოსოფია. გადავწყვიტე, ჩემი აკადემიური ცოდნა ჩემს წარსულ სამუშაო გამოცდილებას დავუკავშირო და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესწავლას მივყო ხელი. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოში ეს სფერო სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ პროცესში. არ მინდა გავუშვა შანსი, ვიყო ისტორიის ნათელ მხარეს.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება, საქართველოში დასაქმებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს?

– ბუნებრივია, საქართველოში დიდი მნიშვნელობისაა ევროპული და დასავლური განათლება. თუმცა, მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისთვისაც სამუშაო გამოცდილება უფრო ფასობს, ვიდრე კარგი ნიშნებით მოპოვებული სერტიფიკატი, ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოშიც და ზოგადად დასავლურ ქვეყანათა უმრავლესობაში, მთავარი გამოცდილებაა და არა სერტიფიკატების რაოდენობა.

საკლუბო მუშაობა

აზროვნების და მეტყველების კულტურის განვითარებისთვის

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებას. ჩემი აზრით, ყველაზე რთული სამუშაო ლიტერატურის მასწავლებლებისათვის ლიტერატურულ-შემოქმედებითი კლუბების ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობაა. მაგრამ, ჩვენმა აღსაზრდელებმა რომ შეძლონ აღქმა იმ მშვენიერებისა, რაც შეუქმნია კაცობრიობას სიტყვებით, საღებავებით, ქვითა და ლითონით, ამისთვის ღირს, არ დაიშურო დრო და ენერგია.

ქართულ სკოლებში, განსაკუთრებით მაღალ კლასებში, საკლუბო მუშაობა მოსწავლეებში უცხო ენებზე მეტყველების უნარის განვითარებას ემსახურება. ვფიქრობდით კი ამის შესახებ, როდესაც კლუბებს ვქმნიდით? რა თქმა უნდა არა. მაშინ ბავშვების უმეტესობას აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ლიტერატურა არა მხოლოდ პროგრამული ტექსტების გავლა, არამედ საინტერესო მოგზაურობაა ლიტერატურის მხატვრულ სამყაროში. მუშაობის პროცესში ვაკვირდებოდი მოსწავლეებს, როგორ ინტერესდებოდნენ ისინი რუსული ლიტერატურით. ვსაუბრობდი მათთან გაკვეთილების შემდეგ, ვარკვევდი მათი ნაკითხობის დონეს და თანდათანობით შემყავდა ისინი ამ საოცარ სამყაროში.

კლუბის წევრები... დღეს ისინი ბევრნი არიან. ჩემ წინაშე უკვე სხვა მოსწავლეები დგანან – უფრო მომთხოვნნი, უფრო დამფასებელნი მხატვრული ლიტერატურის. ქართულ სკოლებში გაცილებით პოპულარულია „გამომეტყველებითი კითხვის“, „ლიტერატურული მხარეთმცოდნეობის“, „წიგნის მოყვარულთა“ კლუბები.

სკოლაში ჩამოვაყალიბეთ „წიგნის მოყვარულთა კლუბი“ სახელწოდებით – „ალისფერი იალქნები“, დევიზად ავირჩიეთ – „წიგნი ამოუწურავი ცოდნის წყაროა“. ეს კლუბი აერთიანებს პოეზიის, მხატვრული კითხვის და კვლევის მოყვარულებს; ყურადღება გამახვილებულია არაპროგრამული ნაწარმოებების კითხვა-განხილვაზე. კითხვა მოსწავლეებში სურვილს აღძრავს, ილაპარაკონ წაკითხულის გარშემო. ბავშვები თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, არ რცხვენიათ შეცდომების. ეს მეცადინეობები რუსულის გაკვეთილებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მათ არ სჭირდებათ წინასწარ მომზადება, აქვე სწავლობენ კითხვების დასმას, აზრის თავისუფლად გამოთქმას, დიალოგის კულტურას. მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი. უფროსკლასელები ცოტას კითხულობენ, ამიტომაც ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას კლუბებში მუშაობას აზროვნებისა და მეტყველების კულტურის განვითარებისათვის.

მახსენდება, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში, რუსული ენისა და ლიტერატურის ლექტორი, პროფესორი **მარგარიტა კუზნეცოვა**, ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული და საინტერესო ქალბატონი, როგორ გვარიგებდა – ჩაიწერეთ თქვენი აზრები, თან ატარეთ უბის წიგნაკი, რომ ჩაინიშნოთ ყველაფერი, რაც თქვენს ყურადღებას მიიპყრობს. როგორ შეიძლება აქ არ გაგახსენდეს აღმოსავლური სიბრძნე:

Хоть память крепкая -
Большое благо,
Но все же надежней памяти бумага!
(„მეხსიერება – დიდი ნიჭია,
ღვთით ბოძებული,
მაგრამ უფრო საიმედო მაინც ქაღალდია!“)

ვთავაზობ მოსწავლეებს აწარმოონ წაკითხული წიგნების აღრიცხვა, უცხო სიტყვებისთვის იქონიონ რვეული, ისწავლონ ლექსიკონით სარგებლობა.

ლევ ტოლსტოი, რომელსაც არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა, მთელი ცხოვრების მანძილზე იწერდა თავის აზრებსა და შეხედულებებს, შეფასებას წაკითხულზე და ყველას ურჩევდა ეტარებინათ ფანქარი და რვეული ჩანაწერებისთვის.

კლუბის მუშაობა დავიწყეთ თემის განხილვით – „როგორ ვკითხულობთ“, „ჩვენი წიგნის თარო“, „წიგნი – ჩვენი მეგობარი“, „ჩემი საყვარელი მწერალი“ და სხვ. მოსწავლეებმა შეაგროვეს დიდი ადამიანების გამონათქვამები წიგნზე, მის როლზე ცხოვრებაში. აი, ზოგიერთი მათგანი:

Ф. Петрарка:„Я болен жадностью к книгам, книги наполняют нас до глубины души, они беседуют с нами сердечной дружбой.“

А.П. Чехов: „Все бледнеет пред книгами.“

М. Горький: „Книга, быть может, наиболее сложное и великое чудо из всех чудес сотворенных человечеством на пути его к счастью и могуществу будущего.“

П. Бровка:

„В свободный час – я в книжной лавке,
Мне книга – воздух для души,
Она влечет могучей властью,
Вселенной раскрывая ширь.“

А.В. Луначарский: „Несомненно, я люблю книгу: я, может быть, больше всего из всех вещей, созданных людьми, люблю книгу.“

ციცერონი წერდა, რომ უწიგნო სახლი უსულო ადამიანის სხეულის მსგავსია. ეგვიპტის ფარაონის – რამზეს II-ის (XIIIს. ჩვენს ერამდე) ბიბლიოთეკის შესასვლელში ამოტვიფრული იყო წარწერა: „სულის აფთიაქი“.

მსგავს წარწერას, მიძღვნილს ვაჟიშვილისადმი, ვხვდებით ეგვიპტეში, საფლავის ქვაზე: „მთელი შენი გული მიუძღვენი წიგნს, რადგანაც არაფერი დგას მასზე მაღლა“.

ასეთი გამონათქვამები უამრავია. ვიტოვებ იმედს, რომ მოსწავლეები მომავალშიაც გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას. კლუბის წევრებმა გამოსცეს კედლის გაზეთი „წიგნის მოყვარულის ხმა“, მოიძიეს ანდაზები და გამონათქვამები წიგნზე. ჩვენი კლუბის მიზანია გავაგრძელოთ კითხვა. ვცდილობთ არ გამოგვრჩეს ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ს. ესენინის, კ. სიმონოვის, ა. ბლოკის ლექსები და მათი ქართული თარგმანები. ყველაფერს დრო სჭირდება – არიან მორიდებული მოსწავლეები, რომელთაც უჭირთ კონტაქტში შემოსვლა, ეშინიათ, არ დასცინონ. კლუბის მეცადინეობებში განსაკუთრებული სიხალისე შემოაქვს ლიტერატურულ თამაშობებს, ვიქტორინებს, ლიტერატურულ დილებსა და საღამოებს. მაგალითად, თამაშის „ზეპირი განმარტებითი ლექსიკონი“ თითოეულმა მონაწილემ ამომწურავად უნდა დაახასიათოს რომელიმე საგანი – წიგნი, ჩანთა, ფანქარი, მიწა და ა.შ. ეს თამაში გვიჩვენებს, თუ რა ლექსიკურ მარაგს ფლობენ მოსწავლეები, როგორია მათი ლოგიკური აზროვნების უნარი.

თამაში **„შეადგინე ფრაზა“.** თამაშისთვის საჭიროა 4 სხვადასხვა ფერის ქაღალდი, თითოეულზე დაიწერება ცალკეული სიტყვები, მაგალითად :

1. Бизнесом Он Каким Занимается
2. Какое Года Весны Наступает Время После

მოთამაშეთა ამოცანაა ბარათზე დაწერილი სიტყვებისგან შეადგინონ ფრაზები.

1. Каким он бизнесом занимается?
2. Какое время года наступает после весны?

თამაში **„დაასრულეთ ანდაზა“.** მზადდება ბარათები. ერთზე იწერება ანდაზების დასაწყისი, რომელიც უჭირავს ხელმძღვანელს, მეორეზე დასასრული. მას ურიგებენ მონაწილეებს. წამყვანი კითხულობს ანდაზის დასაწყისს, ვისაც აქვს შესაფერისი პასუხი, წევს ხელს, კითხულობს და ხსნის ანდაზის არსს.

მაგალითად, Старый друг ..... (лучше новых двух)

Поспешишь ..... (людей насмешишь)

ან ავიღოთ თუნდაც თამაში **„ყოველი სიტყვისგან ახალი“**. ყოველი მოცემული სიტყვისგან მივიღოთ ახალი სიტყვა ერთი ასოს დამატებით თავში, შუაში ან ბოლოში.

Река Репка
Рыба Рыбак
Лень Олень
Газ Глаз
Зал Залп
Село Седло

„გაშიფრეთ სიტყვები და გამორიცხეთ ზედმეტი სიტყვა“:

РАКОЧВА .... ОВЧАРКА
ЛЬБГДОУ .... БУЛЬДОГ
ЕХРО .... ОРЕХ – ზედმეტია
ЛУПЕДЬ .... ПУДЕЛЬ

სოფლის სკოლებში, სადაც თითქმის არ არის რუსულენოვანი მოსახლეობა და მოსწავლეები მოკლებულნი არიან შესაძლებლობებს ისაუბრონ რუსულად, ეფექტურია რუსული ენის დღეების ჩატარება. ჩვენს სკოლაში ჩატარდა „რუსული ენისა და ლიტერატურის დეკადა“ სახელწოდებით „ჩვენ გვიყვარს რუსული ლიტერატურა და ვმეგობრობთ მასთან“. დეკადამ მოიცვა შემდეგი ღონისძიებები :

❖ პირველი დღე – დეკადის გახსნა. ნახატებისა და ნაკეთობების გამოფენა, კალიგრაფიის კონკურსი;

❖ მეორე დღე – პოეზიის საათი „გავუფრთხილდეთ სიყვარულს“;

❖ მესამე დღე – „ანდაზები და გამონათქვამებ – ხალხური სიბრძნის მარგალიტები“;

❖ მეოთხე დღე – მოეწყო კონკურსი საუკეთესო კედლის გაზეთის გამოსავლენად;

❖ მეხუთე დღე – გამოცანების საღამო;

❖ მეექვსე დღე – საინტერესო შეკითხვები, ვიქტორინა;

❖ მეშვიდე დღე – „ყვავილების ზეიმი“ /მიზანი – მოსწავლე ახალგაზრდობის ყურადღების გამახვილება გარე სამყაროსადმი, მისი მდიდარი ფლორისადმი. მოსწავლეებმა მოიძიეს ყვავილებისადმი მიძღვნილი მითები, ლეგენდები, ლექსები. შექმნეს ალბომი სახელწოდებით „ყვავილთა სამყაროში“, მოაწყვეს ნახატების გამოფენა, გამოუშვეს კედლის გაზეთები/;

❖ მერვე დღე – ლინგვისტური ტესტები;

❖ მეცხრე დღე – პრეზენტაციები;

❖ მეათე დღე– შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

10 დღის განმავლობაში კედელზე გაკრული იყო პლაკატები, გამონათქვამები რუსულ ენაზე. მოსწავლეები რუსული ენისა და ლიტერატურის სამყაროში იყვნენ ჩაფლულნი, ხალისით ასრულებდნენ მიცემულ დავალებებს, რამაც უფრო მეტად აამაღლა ინტერესი რუსული ენის დაუფლებისადმი.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ლერმონტოვის კლუბი, რომლის მიზანია დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის ნაწარმოებებისადმი ინტერესის გაღვივება. კლუბის წევრობა შეუძლია ყველას, ვისაც უყვარს ლერმონტოვის პოეზია და სურვილი აქვს უკეთ გაეცნოს მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ემბლემად „იალქანი“ ავირჩიეთ. კლუბის საპატიო წევრებმა – მაყვალა ჯგუბურიამ (დირექტორის მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), თეიმურაზ ჩიქოვანმა (რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) – კლუბს შემოწირეს ლერმონტოვის ლექსების კრებულები, წიგნები ლერმონტოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

მინდა მოგიყვეთ ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც ლერმონტოვის შემოქმედებას მიეძღვნა. დაიწერა პროექტი „ლერმონტოვის შემოქმედებითი საღამო“. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეები უფრო დეტალურად გაცნობოდნენ ფაქტებს ლერმონტოვის ბიოგრაფიიდან, მის ლირიკას, დაუფლებოდნენ გამომეტყველებითი კითხვის უნარ-ჩვევებს. ვეცადე ისინი აქტიურად ჩაბმულიყვნენ ყველა აქტივობაში. პირველ ჯგუფს ლერმონტოვის ბიოგრაფიის ამსახველი მასალების მოძიება დავავალე, მეორე ჯგუფს – ლერმონტოვის ლექსების ქართული თარგმანების მოკვლევა, მესამე ჯგუფს – ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ალბომის შექმნა. მოსწავლეებმა გამოუშვეს კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები. მოეწყო ლერმონტოვის ნახატებისა და მის ლექსებზე შექმნილი მოსწავლეთა ილუსტრაციების გამოფენა, ჩატარდა ვიქტორინა თემაზე – „იცი თუ არა შენ ლერმონტოვის ბიოგრაფია?“, ასევე მოეწყო ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონფერენცია. წარმოდგენილ იქნა თემები:

„Синие горы Кавказа в жизни и в творчестве Лермонтова“;
„Живописное наследие Лермонтова“;
„Воспитание поэта“;
„Лермонтов и музыка“;
„Первая дуэль М. Лермонтова“;
„Вторая дуэль М. Лермонтова“.

დაუსწრებლად ვიმოგზაურეთ ლერმონტოვის სახელთან დაკავშირებულ ლიტერატურულ ადგილებში. ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეებმა დაამზადეს მოსაწვევი ბარათები (ელექტრონულად) და დიპლომები გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

მეორე სემესტრისათვის ვგეგმავთ ვიქტორინას თემაზე: „მწერალთა ფსევდონიმები“. მოსწავლეები მოიძიებენ სიტყვა ფსევდონიმის მნიშვნელობას (ბევრი მწერალი თავის ნაწარმოებებს აწერს არა საკუთარ გვარს, არამედ ფსევდონიმს). რატომ წერდნენ ფსევდონიმებით გორკი, ჩეხოვი, ესენინი, ნეკრასოვი... რა არის მათი ნამდვილი გვარები? ფსევდონიმით ნაწარმოებების გამოცემის მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო...ზოგჯერ ცენზურა, ზოგჯერ ერთი და იმავე გვარის განმასხვავებელი, ზოგჯერ სურვილი ავტორისა გამოეხატა პირადული განსაკუთრებულობა. შემთხვევითობა არ ყოფილა პეშკოვისათვის თავის პირველ ნაწარმოებზე „მაკარ ჩუდრა“ დაეწერა ფსევდონიმი – გორკი. ამ ფსევდონიმში გამოჩნდა ახალგაზრდა მწერლის მძიმე, მწარე ბედი.

ტაგანროგის ღვთისმეტყველების მასწავლებელს უყვარდა მოსწავლეთა გვარების გადაკეთება. აბა, ანტოშა ჩეხონტე, როგორ იცი საღვთო ისტორია, – არაერთხელ მიუმართავს მას გიმნაზისტ ჩეხოვისათვის. აი, საიდან მოდის ანტონ ჩეხოვის ფსევდონიმი „ანტოშა ჩეხონტე“, რომლითაც გამოსცა თავისი პირველი წიგნი „მელპომენის ზღაპრები“. ნეკრასოვი თავის ნაწარმოებებს აქვეყნებდა ფსევდონიმებით – პერეპელსკი, პრუჟინინი, ბუხალოვი, ივან ბოროდავკინი, ნიკ-ნეკი...

ფსევდონიმი ჰქონდა ესენინსაც. თავისი პირველი ლექსი „არყის ხე“ გამოაქვეყნა უცნაური ფსევდონიმით –„არისტონი“. რას ნიშნავს ეს სიტყვა და რატომ აირჩია ფსევდონიმად?..

ასევე ვგეგმავთ მოვიძიოთ მასალები და მოვაწყოთ პრეზენტაციები მწერლებზე, რომლებიც იმავდროულად მხატვრებიც იყვნენ.

ბევრ დროსა და ენერგიას ართმევს მოსწავლეებს კლუბებში მუშაობა, მაგრამ სანაცვლოდ მათი ცხოვრება საინტერესო და შემოქმედებითია. რა თქმა უნდა, კლუბის ყველა მონაწილე ვერ გახდება პროფესიონალი ლიტერატორი, მაგრამ თითოეული მათგანი იქნება წიგნის ერთგული და დამფასებელი მკითხველი. მთავარიც ესაა.

ლულა ხვიჩავა
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხორიის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასერტიფიკაციო გამოცდა

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

ელისო ონაშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ბუნებისმცოდნეობა
I–VI კლასები, ბიოლოგია

ნივთიერებისა და ენერგიის ცვლა უჯრედში

ნივთიერებათა ცვლა უჯრედში ასრულებს ორ ფუნქციას: უზრუნველყოფს უჯრედს საშენი მასალით და მეორე, უზრუნველყოფს უჯრედს ენერგიით. ამრიგად, ნივთიერებათა ცვლა მოიცავს **პლასტიკურ და ენერგეტიკულ ცვლას.** რეაქციათა ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს უჯრედის შენებასა და მისი შედგენილობის განახლებას, **პლასტიკური ცვლა** ეწოდება. პლასტიკური ცვლის დროს ხდება ნახშირწყლების ლიპიდებისა და ცილების სინთეზი.

რეაქციათა ერთობლიობას, რომელიც უჯრედს უზრუნველყოფს ენერგიით, **ენერგეტიკული ცვლა** ეწოდება. ეს ორი პროცესი განუწყვეტლივაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგანაც პლასტიკური ცვლის რეაქციებს ესაჭიროება ატფ-ის ენერგია, რომელიც ენერგეტიკული ცვლის დროს მიიღება, თავის მხრივ, ატფ-ის სინთეზისათვის აუცილებელია ფერმენტები, ცილები, რომლებიც პლასტიკური ცვლის დროს სინთეზდება.

პლასტიკური და ენერგეტიკული ცვლის მეშვეობით ხორციელდება გარემოსთან უჯრედის კავშირი. ეს პროცესები წარმოადგენს ძირითად პირობას უჯრედში სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, მისი ზრდა-განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის.

ენერგეტიკული ცვლა (კატაბოლიზმი) წარმოადგენს რთული ნივთიერებების დაშლის პროცესს, რომელსაც ახლავს ენერგიის გამოყოფა. გამოყოფილი ენერგიის ნაწილი ატფ-ში აკუმულირდება, ნაწილი კი გარემოში სითბოს სახით იფანტება. ატფ-ის სინთეზისათვის ენერგიის ძირითად წყაროს საკვები ნივთიერებები – ნახშირწყლები, ცხიმები და ცილები წარმოადგენს. ცოცხალ სამყაროში ენერგიის წყაროს ძირითადად ნახშირწყლები წარმოადგენს, რადგანაც მათ ასინთეზებს მწვანე მცენარე ფოტოსინთეზის დროს და ამიტომ უფრო იოლი და ხელმისაწვდომია. ჩონჩხის კუნთებში ენერგიის წყაროდ პირველ რიგში გამოიყენება ცხიმოვანი მჟავები. რაც შეეხება ცილებს, ისინი მიეკუთვნება „ძვირ“ პროდუქტებს, გარდა ამისა ცილებს ორგანიზმში ენერგეტიკულის გარდა სხვა ბევრი ფუნქციაც გააჩნია.

ენერგეტიკული ცვლა (კატაბოლოზმი), საკვები ნივთიერებების ბიოლოგიური დაჟანგვა სამ ეტაპს მოიცავს: **მოსამზადებელი, უჟანგბადო (გლიკოლიზი) და ჟანგბადიანი (აერობული სუნთქვა).**

მოსამზადებელ ეტაპზე ხდება რთული ორგანული ნაერთების დაშლა. პოლისაქარიდები იშლება გლუკოზად, ცხიმები გლიცერინად და ცხიმოვან მჟავებად, ხოლო ცილები ამინომჟავებად. მრავალუჯრედიან ცხოველებში ეს ხდება საჭმლის მომნელებელ არხში, ხოლო ერთუჯრედიანებში ლიზოსომის ფერმენტებით.

უჯრედში ენერგიის ძირითად წყაროს გლუკოზა წარმოადგენს, გლუკოზის დაჟანგვა ხდება სამ ეტაპად. უჟანგბადო გლიკოლიზი, კრებსის ციკლი (ჟანგვითი დეკარბოქსილირება, როცა ხდება CO_2-ის ჩამოცილება) და ჟანგვითი ფოსფორილირება (როდესაც ხდება H და e გადატანა).

გლიკოლიზის დროს გლუკოზა ფერმენტების მეშვეობით იშლება ორ მოლეკულა პიროყურძნის მჟავად. ეს რეაქცია მიდის ციტოპლაზმაში და არ საჭიროებს ჟანგბადს. გლიკოლიზი შედგება ორი ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე გლუკოზა გადაიქცევა ფრუქტოზა 1,6 ბიფოსფატად, ხოლო მეორე ეტაპზე 1,6 ბიფოსფატ ფრუქტოზა იშლება ორ სამნახშირბადოვან მჟავად, რომელიც შემდეგში გარდაიქმნება პიროყურძნის მჟავად. ამავე დროს, პირველი ეტაპის რეაქციაზე იხარჯება ორი მოლეკულა ატფ, ხოლო მეორე ეტაპზე წარმოიქმნება ოთხი მოლეკულა ატფ და გლიკოლიზის ორივე ეტაპის რეაქციების გამოსავალი არის ორი მოლეკულა ატფ.



$C_6H_{12}O_6 \rightarrow 2C_5H_6O_3 + 4H + 2$ატფ



გლიკოგენი → გლუკოზა → გლუკოზო 6 ფოსფატი → ფრუქტოზო 6 ფოსფატი → ფრუქტოზო 1, 6 დიფოსფატი → 2 მოლეკულა 3 ფოსფოგლიცერინის მჟავა → 2 მოლეკულა პიროყურძნის მჟავა + $2H_2O$



გლუკოზა კარგავს ოთხ მოლეკულა H_2, რომლის აქცეპტორიც არის **ნად+ (ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდი)**, იგი აღდგება **ნად.H-მდე.** თუ უჯრედში არის ჟანგბადი, მაშინ პიროყურძნის დაჟანგვა მიდის მიტოქონდრიებში და მას **აერობული გლიკოლიზი** ეწოდება. უჯრედებში ჟანგბადის დეფიციტის ან არარსებობის შემთხვევაში გლუკოზა ორ მოლეკულა რძემჟავამდე იჟანგება და მხოლოდ ატფ-ის ორი მოლეკულა წარმოიქმნება.

ანაერობული გლიკოლიზი წააგავს დუღილის რეაქციებს, რომლებიც მიდის მიკროორგანიზმებში. ენერგიაზე მოთხოვნილებას ისინი ამით იკმაყოფილებენ. მიღებული პროდუქტების მიხედვით განარჩევენ სპირტულ, რძემჟავურ, ძმარმჟავულ და სხვა დუღილს.

ჟანგბადიანი ეტაპი მიდის მიტოქონდრიების შიგა მემბრანაზე. ამ დროს გლუკოზის დაჟანგვა ხდება საფეხურებად, თანმიმდევრული დეჰიდრირების რეაქციებით. ყოველი დეჰიდრირებისას ჩამოცილებული წყალბადი გამოიყენება **კოფერმენტის** აღსადგენად.

$AH_2 + B \rightarrow A + bh$
სუბსტრატი — დაჟანგული — აღდგენილი

წყალბადის აქცეპტორია ნად-ი. ნად ჩაერთვება სუნთქვის ციკლში და კვლავ იჟანგება.

ნად + 2H → ნადH_2 ანდა ნად$^+$ + 2H → ნად.H + H^+

აერობული სუნთქვა იყოფა ორ ფაზად. პირველ ფაზაში პიროყურძნის მჟავა ხვდება მიტოქონდრიებში, სადაც ბოლომდე იჟანგება. თავდაპირველად მიდის ერთდროული დეკარბოქსილირება (- CO_2) და დეჰიდრირება (-H_2). ამ დროს პიროყურძნის მჟავას უერთდება კოფერმენტ A-ს (KoA KoAS-H) თავისუფლდება ენერგია, რომელიც მიდის ნად.H_2-ის მიღებაზე, ნად ჩაერთვება სუნთქვის ჯაჭვში.

აერობული სუნთქვის მეორე ფაზა არის **კრებსის ციკლი (ლიმონმჟავას ციკლი),** რომლის ბოლოსაც მიიღება ორი მოლეკულა ატფ, წყალბადის ოთხი ატომი და ნახშირორჟანგის ორი მოლეკულა..წყალბადის ატომები უერთდება ნად-ს ან **ფად**-ს (**ფლავინადენინდინუკლეოტიდი)** და ამის შემდეგ იწყება ჟანგვითი ფოსფორილირება.

გლიკოლიზისა და აერობული სუნთქვის ორივე ფაზის შეჯამებული რეაქცია ასეთია



$C_6H_{12}O_6 + 6H_2O \rightarrow 6CO_2 + 4$ატფ $+ 12AcH_2$

Ac არის წყალბადის აქცეპტორი

სუნთქვის ციკლი, ანუ ჟანგვითი ფოსფორილირება. სუნთქვით ჯაჭვში ნად.H_2 იჟანგება ნად-მდე და ჩამოცილებული წყალბადი გადაეცემა არა უმეტეს 5 გადამტანს. ჯაჭვის ბოლოში იგი უერთდება ჟანგბადს და მიიღება წყალი. ამ რეაქციების შედეგად გამოთავისუფლებული ენერგიის ხარჯზე მიიღება 34 მოლეკულა ატფ.



ადფ + ფ → ატფ

წყალბადის შუალედური გადამტანები განიცდის ჟანგვა-აღდგენას. ჟანგვის პირველ ეტაპზე გადაიტანება H-ის ატომები, ხოლო შემდეგ ხდება ელექტრონების გადატანა.



ნად.H_2 → ფად.H_2 → VH_2 → WH_2 → X2e → Y2e → Z2e → H_2O
↳.....$2H^+$.....↲

X, Y, Z ციტოქრომებია. X ,Y ცილოვანი პიგმენტებია და შეიცავს არაცილოვან ჯგუფში რკინას, ე.წ. ჰემას და ყველა ეტაპზე $Fe^{2+} \rightarrow Fe^{3+}$

Z არის ფერმენტი ციტოქრომოქსიდაზა და აკატალიზებს წყლის მიღებას. ერთი მოლი გლუკოზის დაჟანგვის შეჯამებული რეაქცია ასეთია



$C_6H_{12}O_6 + 6O_2 \rightarrow 6CO_2 + 6H_2O + 38$ ატფ

$\Delta G = 2880$ კ/ჯოულ/მოლი

გლუკოზა → პიროყურძნის მჟავა → აცეტილკოფერმენტი → კრებსის ციკლი → სუნთქვის ციკლი

პლასტიკური ცვლა (ანაბოლიზმი) არის ყველა ცოცხალის დამახასიათებელი პროცესი. გარემოდან მიღებული მარტივი ელემენტებისაგან ორგანიზმის შემადგენელი რთული ნივთიერებების შექმნა. ანაბოლიზმი მიეკუთვნება ენდერგონიკულ რეაქციებს, მაგ; ფოტოსინთეზი



A + B → AB + ΔG (შთანთქმული ენერგია)

ΔG არის თავისუფალი ენერგიის ცვლილება.

ფოტოსინთეზი, CO_2 -სა და H_2O-საგან მზის გამოსხივების ენერგიის ხარჯზე ორგანული ნაერთების სინთეზს ფოტოსინთეზი ეწოდება. ფოტოსინთეზისათვის აუცილებელია მზის სხივის დამჭერი პიგმენტის არსებობა. მწვანე მცენარეში ამას ქლოროფილი ახდენს, ხოლო წაბლა წყალმცენარეებსა და ციანო ბაქტერიებში მონაწილეობს სხვა პიგმენტები. ფოტოსინთეზი რთული, მრავალსაფეხურიანი პროცესია.

განარჩევენ ფოტოსინთეზის **სინათლისა და სიბნელის ფაზას.**

სინათლის ფაზა. ფოტოსინთეზი იწყება ხილული სინათლით ქლოროფილის განათებით. სხივის ფოტონის ენერგიას იღებს ქლოროფილის ელექტრონები, რის შედეგადაც ისინი აიგზნება და გადადის უფრო მაღალ ენერგეტიკულ დონეზე, ანუ წყდება ქლოროფილის მოლეკულას. ქლოროფილი გადაიქცევა რადიკალად და დაკარგულ ელექტრონს აღიდგენს, წაართმევს წყალს. რის შედეგადაც წყლის მოლეკულა იშლება პროტონებად და ჟანგბადის ატომებად – ხდება წყლის მოლეკულის **ფოტოლიზი.**



$2H_2O + 4e \rightarrow 4H^+ + O_2$

ჟანგბადის ატომები წარმოქმნის მოლეკულებს, დიფუნდირდება მემბრანაში და გამოდის გარემოში. ქლოროფილისაგან მოწყვეტილი ელექტრონები გადადის მოლეკულურ გადამტანებზე, რომელთაც მიაქვს ისინი მემბრანის მეორე მხარეს. პროტონებს მემბრანა არ ატარებს, ამიტომ ისინი გროვდება გრანებში. ამრიგად, მემბრანის ერთ მხარეს გროვდება პროტონები, მეორე მხარეს კი ელექტრონები. საპირისპირო ნიშნებით დამუხტული ნაწილაკების დაგროვებასთან ერთად იზრდება პოტენციალთა სხვაობა და როდესაც იგი მიაღწევს კრიტიკულ წერტილს, გრანების მემბრანებში ჩაშენებული ფერმენტის – ატფ-სინთეტაზას არხი იხსნება და ამ არხში გაივლის პროტონები. ამ დროს თავისუფლდება ენერგია, რომლის ხარჯზეც წარმოიქმნება ატფ. მემბრანაში გავლის შემდეგ პროტონები იერთებენ მოლეკულა გადამტანების მიერ მოტანილ ელექტრონებს და მიიღება წყალბადის ატომები. ეს ატომები და ატფ მიემართება იმ ადგილისაკენ, სადაც ხდება ნხშირწყლების სინთეზი.

ამრიგად, მზის გამოსხივების ენერგია წარმოშობს სამ პროცესს: წყლის დაშლის შედეგად მოლეკულური ჟანგბადის წარმოქმნას, ატფ-ის სინთეზს და ატომური წყალბადის წარმოქმნას. ამით მთავრდება ფოტოსინთეზის სინათლის სტადია და იწყება ფოტოსინთეზის მეორე სტადია, რომელსაც პირობითად ეწოდება **სიბნელის ფაზა,** თუმცა იგი მიმდინარეობს როგორც სინათლეზე, ასევე სიბნელეშიც. ამ ფაზაში ხდება ნახშირორჟანგისაგან და წყალბადის ატომებისაგან გლუკოზის სინთეზი, რომელიც მთელი რიგი რეაქციებისაგან შედგება. მასში მონაწილეობს ფერმენტები, ხოლო ენერგიის წყაროა ატფ. აღსანიშნავია, რომ სინათლის ფაზაში მიღებული ატფ მთლიანად არ იხარჯება,არამედ რჩება მარაგის სახითაც.

ქემოსინთეზს ახორციელებს ზოგიერთი აზოტოფიქსაციისა და ნიტრიფიკაციის ბაქტერია, რკინაბაქტერიები და გოგირდბაქტერიები. ამ ბაქტერიებს გააჩნია ფერმენტები, რომელთა მეშვეობითაც ახდენენ ჟანგვა-აღდგენით რეაქციებს და ამ დროს გამოთავისუფლებული ენერგიის ხარჯზე არაორგანული ნივთიერებებიდან ქმნიან ორგანულ ნივთიერებებს. მაგ., რკინაბაქტერიები ჟანგავენ Fe^{2+}-ს Fe^{3+}-მდე. გოგირდბაქტერიები გოგირდწყალბადს ჟანგავენ გოგირდმჟავამდე, ხოლო აზოტობაქტერიების ერთი ჯგუფი ჟანგავს ამიაკს აზოტოვან მჟავამდე. აზოტოფიქსაციის ბაქტერიები ჰაერის აზოტს გარდაქმნიან ამიაკად, რომელსაც ითვისებს მცენარე და ახდენს ცილების სინთეზს.

ცილის ბიოსინთეზი. ცილის სინთეზი განეკუთვნება ანაბოლიზმის რეაქციებს. როგორც ვიცით, ცილა ორგანიზმში ასრულებს მრავალ ფუნქციას და სიცოცხლის მანძილზე საჭიროა ახალი ცილების წარმოქმნა. მაგ; ანტისხეულების. გარდა ამისა, ცილები განიცდის დენატურაციას და საჭიროა მათი შეცვლა ახლით. ცილის სინთეზი მიმდინარეობს ციტოპლაზმაში გრანულარული ენდოპლაზმური ბადის მემბრანაზე რიბოსომების მეშვეობით და მოიცავს ორ ეტაპს: **ტრანსკრიპცია** და **ტრანსლაცია**.

ტრანსკრიპცია ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს გადაწერას. ეს პროცესი მიმდინარეობს ბირთვში. ამ დროს ხდება ცილის პირველადი სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გადაწერა დნმ-დან ი-რნმ-ზე. ტრანსკრიპცია იწყება ასე: ფერმენტის ზემოქმედებით ირღვევა დნმ-ის ორმაგი სპირალი და ერთ-ერთ ჯაჭვზე თავისუფალი ნუკლეოტიდებისაგან აეწყობა ი-რნმ ფერმენტ რნმ-პოლიმერაზას მეშვეობით. მას შემდეგ, რაც წარმოიქმნება ი-რნმ-ის მოლეკულების საკმარისი რაოდენობა, ი-რნმ გამოდის ბირთვიდან, ტრანსკრიპცია წყდება და დნმ-ის ორმაგი სპირალი აღსდგება.



ა – თ	ა თ	ა
გ – ც	გ ც	გ
ც – გ	ც გ	ც
თ – ა	თ ა	უ
თ– ა	თ ა	უ
ც – გ	ც გ	ც
დნმ-ის მონაკვეთი		ი-რნმ

ი-რნმ-ის ციტოპლაზმაში გამოსვლის შემდეგ იწყება ცილის სინთეზის მეორე ეტაპი **ტრანსლაცია**. ტრანსლაცია ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს გადათარგმნას. ტრანსლაცია არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ი-რნმ-ის მოლეკულაში ტრიპლეტების თანმიმდევრობა გადაიტანება ამინომჟავების თანმიმდევრობად პოლიპეპტიდურ ჯაჭვში. ტრანსლაციას ახორციელებს რიბოსომა. იგი აცოცდება ი-რნმ-ზე და გადაადგილდება მასზე, მას მიყვება მეორე რიბოსომა და ა. შ. ერთი ცილის რამდენიმე მოლეკულის სინთეზს ახდენს ერთდროულად რამდენიმე რიბოსომა **-პოლისომა**. რიბოსომების რაოდენობა დამოკიდებულია ი-რნმ-ის სიგრძეზე. მაგ; ცილა ჰემოგლობინის ი-რნმ-ზე ეტევა ხუთი რიბოსომა. ე. ი. ერთდროულად მიდის ცილა ჰემოგლობინის ხუთი მოლეკულის სინთეზი.

თითოეული რიბოსომა შედგება ორი სუბერთეულისაგან – დიდი და მცირე სუბერთეულებისაგან. ი-რნმ უერთდება რიბოსომის მცირე სუბერთეულს მაგნიუმის იონების თანაობისას. ამავე დროს ი-რნმ-ის ორი ტრიპლეტი (კოდონი) არის დიდ სუბერთეულთან. პირველი კოდონი იკავშირებს იმ ტ-რნმ-ს, რომელიც შეიცავს მის კომპლემენტარულ ანტიკოდონს (როგორც წესი, პირველი ამინომჟავა, რომელიც მოაქვს ტ-რნმ-ს, არის მეთიონინი). შემდეგ მეორე კოდონი მიიერთებს ამინოაცილ ტ-რნმ კომპლექსს. რიბოსომის ფუნქციაა დაიკავოს საჭირო მდგომარეობაში ი-რნმ, ტ-რნმ და სინთეზში მონაწილე სხვა ფაქტორები, მანამ, სანამ მეზობელ ამინომჟავებს შორის არ წარმოიქმნება პეპტიდური ბმა. როგორც კი ახალი ამინომჟავა შეუერთდება მზარდ პოლიპეპტიდურ ჯაჭვს, რიბოსომა გადაადგილდება ი-რნმ-ის შემდეგ ტრიპლეტზე. ტ-რნმ, რომელიც დაკავშირებულია პოლიპეპტიდურ ჯაჭვთან, თავისუფლდება რა ამინომჟავასაგან, ტოვებს რიბოსომას, ბრუნდება ციტოპლაზმაში და იკავშირებს ახალ ამინომჟავას. რიბოსომის მიერ ტექსტის „წაკითხვა“ ი-რნმ-ზე გრძელდება მანამ, სანამ არ მიაღწევს სამიდან ერთ-ერთ კოდონს – უაა, უაგ და უგა, ეს არის წერტილი. პოლიპეპტიდური ჯაჭვის აწყობა მთავრდება.

სასერტიფიკაციო გამოცდა

ამრიგად ტრანსლაციის ძირითადი ეტაპებია:

- ❖ i-რნმ-ის რიბოსომასთან შეერთება;
- ❖ ამინომჟავას აქტივაცია და ტ-რნმ-სთან მისი შეერთება;
- ❖ პოლიპეპტიდური ჯაჭვის **ინიციაცია** – სინთეზის დასაწყისი;
- ❖ ჯაჭვის დაგრძელება – **ელონგაცია;**
- ❖ სინთეზის დამთავრება – **ჯაჭვის ტერმინაცია;**
- ❖ i-რნმ-ს დაშლა ან მისი შემდგომი გამოყენება.

მას შემდეგ, რაც რიბოსომა მოშორდება პოლიპეპტიდურ ჯაჭვს, იგი ენდოპლაზმური ბადის არხებით გადაეცემა გოლჯის კომპლექსს, სადაც მაშინათვე იღებს მეორეულ, მესამეულ ანდა მეოთხეულ სტრუქტურას.

ცილის სინთეზის რეგულაცია ხორციელდება გენების მთელი კომპლექსის მეშვეობით (თუმცა ეს პროცესი ბოლომდე არაა შესწავლილი). ამინომჟავების თანმიმდევრობას ცილის მოლეკულაში განსაზღვრავს **სტრუქტურული გენები.** ამ გენების გააქტიურება ხდება **გენ-რეგულატორის** მეშვეობით. გენ-რეგულატორი შეიცავს გენეტიკურ ინფორმაციას **რეპრესორის** სინთეზისათვის, რომელიც აფერხებს სტრუქტურული გენების გააქტიურებას. რეპრესორი ზემოქმედებს **ოპერატორზე** – სტრუქტურული გენების უბანზე. ოპერატორი და მათ მიერ მართული გენების ერთობლიობას **ოპერონს** უწოდებენ.

რეპრესორი განსაკუთრებული ცილაა, რომელიც ან უკავშირდება ოპერატორს და თრგუნავს მის აქტივობას („გამორთავს“ მას), ან არ უკავშირდებას მას, რის გამოც სტრუქტურული გენები გააქტიურდება (ტოვებს მათ ჩართულს). როცა ოპერატორი ჩართულია, სტრუქტურულ გენებზე ხდება ტრანსკრიპცია და i-რნმ-ის წარმოქმნა. როცა ოპერატორი გამორთულია, i-რნმ არ წარმოიქმნება და შესაბამისად ცილის სინთეზიც არ ხდება.

კითხვები განსჯისათვის

1. რომელი უჯრედული პროცესი წარმოქმნის იმ ნახშირორჟანგს, რომელსაც ამოისუნთქავთ?

პასუხი: მიტოქონდრიებში მიმდინარე აერობული სუნთქვის დროს (ჟანგვითი ფოსფორილირება).

2. ბაქტერიები (ქემოსინთეზის ბაქტერიების გამოკლებით) სახლობენ მკვდარ ორგანულ ნარჩენებზე (საპროფიტები) ან პარაზიტობენ ცოცხალ ორგანიზმებზე, რატომ?

პასუხი: მათ არ გააჩნიათ მიტოქონდრიები, ამიტომ ენერგიაზე მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ გლიკოლიზით, რომლის დროსაც ერთი მოლი გლუკოზისაგან მიიღება მხოლოდ ორი მოლი ატფ, ამიტომ ესაჭიროებათ ენერგიით მდიდარი არე.

3. ატფ-ის სინთეზისათვის საჭიროა წყალბადის იონი. რომელი ნაერთებიდან იღებს მცენარე და ცხოველი ამ იონებს?

პასუხი: ორგანული ნაერთებიდან (უმეტესად ნახშირწყლებისაგან), გარდა ამისა მცენარე, ფოტოსინთეზის დროს, აგრეთვე წყლისაგანაც.

4. გლიკოლიზის დროს წარმოიქმნება ნადH. რომელი მოლეკულაა მისი ელექტრონების საბოლოო აქცეპტორი რძემჟავური დუღილის დროს? სუნთქვის დროს?

პასუხი: რძემჟავური დუღილის დროს – პირუვატი. სუნთქვის დროს – ჟანგბადი.

5. თუ მწვანე წყალმცენარეების სუსპენზიას თავიდან ვამყოფებთ სინათლეზე ნახშირორჟანგის გარეშე, ხოლო შემდეგ გადავიტანთ სიბნელეში C^{14} იზოტოპის შემცველ CO_2-იან არეში, ძალიან სწრაფად ნახშირბადის იზოტოპი აღმოჩნდება გლუკოზაში. რას გვეუბნება ეს დაკვირვება ფოტოსინთეზის ორ ფაზაზე? ნახშირორჟანგის გლუკოზად გარდაქმნა ასევე სწრაფად წყდება. რატომ?

პასუხი: ეს დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ატფ-ისა და ნადH-ის წარმოქმნა ხდება სინათლეზე, როგორც კი მათი მარაგი ამოიწურება, გარდაქმნა წყდება.

6. მიუთითეთ ნუკლეოტიდური წყვილების მინიმალური რაოდენობა გენში, რომელიც აკოდირებს 124 ამინომჟავური რგოლის შემცველ ცილას. შესაძლებელია თუ არა, რომ თქვენს მიერ გაანგარიშებული ნუკლეოტიდური წყვილების რაოდენობა უფრო ნაკლები აღმოჩნდეს რეალურზე? რატომ?

პასუხი: 372. სავარაუდოდ კი, რადგანაც იგი შეიძლება შეიცავდეს იმ ტრიპლეტებს, რომლებიც არ აკოდირებს არც ერთ ამინომჟავას.

7. დნმ-ის ერთ-ერთი ჯაჭვის ნუკლეოტიდთა თანმიმდევრობა ასეთია: ცცთააცაცცცცთგაცთთცცგც. დაწერეთ i-რნმ, რომელიც გადაიწერა ამ ჯაჭვიდან.

დავუშვათ, რომ დნმ-ის ამ ჯაჭვის კომპლემენტური ჯაჭვიდანაც მოხდა ტრანსკრიპცია, დაემთხვევა თუ არა ამინომჟავების თანმიმდევრობა პირველი ჯაჭვიდან გადაწერილი i-რნმ-ის თანმიმდევრობას? პასუხი დაასაბუთეთ.

პასუხი:გაუუგუგგგგაცუგააგგცგ. არ დაემთხვევა, რადგანაც დნმ-ის კომპიენენტარულ ჯაჭვში ნუკლეოტიდების სხვა თანმიმდევრობაა

8. თუ ვიცით ამინომჟავების თანმიმდევრობა ციტქრომში, შეგვიძლია თუ არა განვსაზღვროთ ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა იმ ერთადერთ i-რნმ-ში, რომელიც აკოდირებს ამ ცილას?

პასუხი: არა, რადგანაც თითქმის ყველა ამინომჟავას შეესაბამება რამდენიმე კოდონი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

86. სურათზე მოცემულია A და B პუნქტებისთვის შედგენილი კლიმატოგრამები. ეს პუნქტები ევროპაში ერთსა და იმავე განედზე და ზღვის დონიდან ერთსა და იმავე სიმაღლეზე მდებარეობენ. განსაზღვრეთ, რომელი მათგანი უფრო დასავლეთით მდებარეობს და თქვენი პასუხი დაასაბუთეთ:



87. სტეპის ბუნებრივი ზონის ნიადაგები ტაიგის ზონის ნიადაგებისგან ჰუმუსოვანი ჰორიზონტის უფრო მძლავრი ფენითა და ჰუმუსის მაღალი შემცველობით განსხვავდება. რით აიხსნება ეს ფაქტი? დაასახელეთ ორი მიზეზი.

88. იმსჯელეთ, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ტყეების გაჩეხვას ჰიმალაის მთების სამხრეთ ფერდობებზე. დაასახელეთ, მინიმუმ, 2 სავარაუდო შედეგი.

89. დაადგინეთ, ავსტრალიის რუკაზე აღნიშნულ რომელ პუნქტში იქნება 1 თებერვალს მზე ყველაზე მაღლა ჰორიზონტზე, გრინვიჩის დროით დილის 5 საათზე. ახსენით თქვენი პასუხი.



90. რატომ გადის თოვლის ხაზი ანდების მთების დასავლეთ ფერდობებზე 50-გრადუსიან განედზე 3000 მეტრზე უფრო დაბლა, ვიდრე 20-გრადუსიან განედზე. ჩამოთვალეთ ორი მიზეზი.

91. ცხრილში მოცემული მონაცემების გამოყენებით, დაადგინეთ რომელ ქვეყანაშია მოკვდაობის მაჩვენებელი 1000 კაცზე მაღალი. აჩვენეთ გამოთვლის პროცესი და ახსენით, რატომ არის ამ ქვეყანაში მოკვდაობის მაჩვენებელი მაღალი.

ქვეყნები		დემოგრაფიული მაჩვენებლები
ჩილე	იტალია	
16,3	58,1	მოსახლეობის რაოდენობა, მლნ კაცი
25	14	15წლამდე ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, %
8	19	65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, %
15,0	8,5	შობადობა, %
9,1	-2,0	ბუნებრივი მატება, %
76,9	80,0	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, წელი

92. რუკაზე ასოებით აღნიშნული რომელი ტერიტორია ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით?



1) A 2) B 3) C 4) D

93. რომელ პარალელზე – ჩ.გ. 30 გრადუსი, ჩ.გ. 10 გრადუსი, ეკვატორი, ს.გ.10 გრადუსი და ს.გ. 30 გრადუსი – იქნება მზე შუადღისას ჰორიზონტის ხაზზე ყველაზე დაბლა, როცა დედამიწა ორბიტაზე სურათზე ციფრი 1-ით ნაჩვენებ მდგომარეობაში იმყოფება. პასუხი დაასაბუთეთ.



94. მოცემული აღწერილობის მიხედვით, განსაზღვრეთ რომელ პროცესზეა საუბარი: „დედამიწის ზედაპირის შეცვლის ფიზიკურ-ქიმიური ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც, როგორც წესი, მოჰყვება ამა თუ იმ ხმელეთის მონაკვეთის მეტნაკლებად მოსწორება. ეს არის ქანების გამოფიტვის პროდუქტების ჩამორეცხვა და გადაადგილებაა (წყლის, ქარის, ყინულის ან უშუალოდ სიმძიმის ძალის ზეგავლენით), დედამიწის ზედაპირის დადაბლებული ადგილებისაკენ. მის ტემპსა და ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს ტექტონიკური მოძრაობა.“

ა) ეროზია; ბ) აკუმულაცია; გ) დენუდაცია; დ) გამოფიტვა.

95. მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მათ მნიშვნელობას, აგებულებას და წარმომავლობას, განსაზღვრავს მათი გავრცელების არეს (ზოგჯერ ასაკსაც) ჰქვია:

ა) ქრონოლოგია; გ) პალეოგრაფია;
ბ) ტოპონომიკა; დ) ჰერალდიკა.

96. რომელ ოკეანეს ეკუთვნის ზღვები - სკოშის, დიურვილის, დეივისის, მოუსონის, რისერ-ლარსენის:

ა) წყნარი; ბ) ჩრდილოეთ ყინულოვანი;
გ) ატლანტის; დ) სამხრეთის; ე) ინდოეთის.

97. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ზღვა არ არის ხმელთაშუა ზღვის ნაწილი:

ა) ალბორანის; ბ) ბალეარის;
გ) მოუსონის; დ) ადრიატიკის; ე) ტირენიის.

98. მარიანის კუნძულები შედის:

ა) მელანეზიაში; ბ) მიკრონეზიაში;
გ) პოლინეზიაში; დ) არც ერთ მათგანში.

99. რომელი კუნძული არ შედის კანადის არქტიკული არქიპელაგის შემადგენლობაში:

ა) ბაფინის მიწა; ბ) ელსმირი; გ) ვანკუვირი; დ) ვიქტორია.

100. რა იზომება ბოფორტის სკალით:

ა) მიწისძვრის მაგნიტუდა; ბ) მიწისძვრის ძალა; გ) ქარის სიჩქარე და მისი მოქმედება; დ) ცუნამის სიჩქარე და მისი მოქმედება.

პასუხები: 86 – უფრო დასავლეთით მდებარეობს B პუნქტი, რადგან: ა) აქ უფრო მეტი ატმოსფერული ნალექი მოდის; ბ) ზამთარი შედარებით თბილია; გ) საშუალო წლიური ტემპერატურა უფრო ნაკლებია; დ) აქ კლიმატი ნაკლებად კონტინენტურია; 87 – ა) სტეპების ზონაში არასაკმარისი ტენიანობა ხელს უწყობს ჰუმუსის დაგროვებას (ან ტაიგის ზონაში გადაჭარბებული ტენიანობა ნიადაგიდან ჰუმუსის გამორეცხვას იწვევს); ბ) სტეპის ზონაში ძალიან დიდი რაოდენობითაა ჩამოცვენილი მცენარეულობა (ან ჩამოცვენილი მცენარეულობის სხვადასხვა შედგენილობა სტეპისა და ტაიგის ზონებში; 88 – ა) ტყეების გაჩეხვა გამოიწვევს ნიადაგის მიერ ტენის შეკავების უნარის შემცირებას; ბ) მუსონური წვიმების პერიოდში ადგილი ექნება წყალდიდობების გაძლიერებას და მომატებას. გ) მოიმატებს და გაძლიერდება ნიადაგის ეროზია; დ) გაძლიერდება და ინტესიური გახდება მეწყრული პროცესები; 89 – ყველაზე მაღლა ჰორიზონტზე მზე იქნება A პუნქტში. რადგან: ა) ამ დროს ა.გ. 105-გრადუსიან მერიდიანზე შუადღეა; ბ) შუადღის მერიდიანის დადგენა შესაძლებელია შემდეგი გამოთვლით: (12 - 5) x 15°; გ) პუნქტი ყველაზე ახლოს მდებარეობს შუადღის მერიდიანთან; 90 – 1. 50-გრადუსიან განედზე ატმოსფერული ნალექების რაოდენობა უფრო მცირეა; 2. 50-გრადუსიან განედზე კლიმატი შედარებით ცივია. 91 – მოკვდაობის მაჩვენებლი მაღალია იტალიაში და 10,5-ს უდრის. 8,5 – (-2,0)=10,5. აღნიშნული მაჩვენებლის მაღალი ნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ქვეყნის ასაკობრივ სტრუქტურაში ჭარბობს 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობა; 92 – 2-B; 93 – პარალელი – ს.გ. 30 გრადუსი, რადგან: ა) ამ დღეს მზე ზენიტშია ჩრდილოეთ ტროპიკზე; ბ) ეს დღე ზაფხულის ნაბუნიობის დღეა; გ) შუადღისას მზის სიმაღლე, ნებისმიერ პარალელზე, დამოკიდებულია იმ პარალელიდან დაშორებულობაზე, რომელზეც ამ დღეს მზე ზენიტშია; დ) ს.გ. 30-გრადუსიანი პარალელი ყველაზე მეტადაა დაშორებული ჩრდილოეთ ტროპიკიდან. 94 – დ; 95 – ბ; 96 – დ; 97 – გ; 98 – ბ; 99 – გ; 100 – გ.

დასაწყისი იხ. № 31-33

ინფორმაცია

მეგობრობის თეთრი პალიტრა

უკვე რამდენიმე ათეული წელია, სურამის მესამე საჯარო სკოლა ლესია უკრაინკას სახელს ატარებს. ჩვენს სკოლას მეგობრული ურთიერთობა აქვს ქ. ნოვოგრად-ვოლინსკთან, კერძოდ, ამავე ქალაქში არსებულ ლესია უკრაინკას სახ. სკოლასთან, საიდანაც საჩუქრად მივიღეთ ნახატები, თემაზე: „უკრაინელი მოსწავლეების თვალით დანახული საქართველო“.

გადავწყვიტეთ, საპასუხოდ ჩვენს მოსწავლეებსაც შეექმნათ ნახატები უკრაინულ მოტივებზე, რამაც მათში დიდი ინტერესი გამოიწვია.

დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობები. მოსწავლეები გაეცნენ უკრაინულ კულტურას, ტრადიციებს, არქიტექტურას და საინტერესო ნამუშევრები შექმნეს. ყველა აქტივობა ერთად შეგროვდა და სკოლაში არსებულმა ტელესტუდია „ლესიამ“ მოამზადა ფილმი – „მეგობრობის თეთრი პალიტრა“.

3 ნოემბერს, ლესიაობის დღესასწაულზე, ტრადიციულად, სკოლას ესტუმრნენ საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენლები, უკრაინული დიასპორა და ქ. ნოვოგრად-ვოლინსკის დელეგაცია, ამავე ქალაქის მერის ხელმძღვანელობით.

ვუმასპინძლეთ, ჩატარდა ღონისძიება. ნაჩვენები იქნა ზემოთ აღნიშნული ფილმი, რამაც სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა. მერმა, საუკეთესო ნახატების ავტორებს დიპლომები გადასცა და დამსწრე საზოგადოებას აღუთქვა, რომ: *„ეს ნახატები მოივლის ქ. ნოვოგრად-ვოლინსკის ყველა სკოლას და ბოლოს ადგილს დაიმკვიდრებს ლ. უკრაინკას სახლ-მუზეუმში“.*

დარწმუნებული ვარ, მსგავს ღონისძიებებში მოზარდების აქტიური ჩართვა და წახალისება ხელს შეუწყობს მათში სხვადასხვა ქვეყნების კულტურის თავისთავადობის განსაზღვრას, შემოქმედებითობის, წარმოსახვის და ფანტაზიის უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

ინგა ჩაჩანიძე
ხელოვნების პედაგოგი,
ლესია უკრაინკას სახ.
სურამის N3 საჯარო სკოლა

„ციცქნა იას დღეობა“ სკოლის სცენაზე

ამ დღეებში შესანიშნავი ქართველი პოეტის, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობის, საქართველოს დამსახურებული არტისტის **გივი ჭიჭინაძის** გარდაცვალებიდან 14 წელი სრულდება.

გივი ჭიჭინაძე ბავშვების უსაყვარლესი და გულის მესაიდუმლე პოეტი იყო. მისი წიგნები – „დათუნია დრუნჩა“, „ია, მზე და იამზე“, „თაგვმა კატა დაიჭირა“, „წყაროსთვალი“, „ვინ დახატავს ცხრათვალა მზეს“, „ყველაზე ლამაზი“ – დაბეჭდვისთანავე ნორჩი მკითხველების საყვარელი სამაგიდო წიგნები გახდა. ავტორმა შეძლო პატარების ზღაპრული, ულამაზესი, სათუთი სამყაროს გამდიდრება. მან ერთგულად და სიყვარულით ზიდა საბავშვო პოეტის საპატიო უღელი. სანამ საქართველო იარსებებს, მანამ იუღლურტულებენ პატარები:

„დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა...“
ან
„საქართველოს ცაო,
ცაო, ლიცლიცაო,
საქართველოს მზეო,
სულ იგიზგიზეო!“

საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი **ნანული ბილანიშვილი** მეგობრობდა გივი ჭიჭინაძესთან. პედაგოგმა სკოლაში რამდენჯერმე დადგა გივი ჭიჭინაძის საბავშვო პიესები, პრემიერებზე იწვევდა თავად პოეტს და მოსწავლეთა მრავალ თაობას შეაყვარა იგი.

წლეულს, სასწავლო წლის დაწყებისთანავე, ქალბატონმა ნანული ბილანიშვილმა თავის სადამრიგებლო მესამე კლასის) მოსწავლეებს შეასწავლა გივი ჭიჭინაძის „ციცქნა იას დღეობა“, გაუნაწილა „მოქმედი პირების“: ნაკადულის, ქარის, ნიავის, იის, ენძელას, ზაფრანას, ჩიტისთავას, ზამბახის, ფუტკრის, პეპლების, დათვის... როლები და პიესის მომზადებას შეუდგნენ. ინსცენირება, დადგმა და მუსიკალური გაფორმება თავად ქალბატონ ნანულის ეკუთვნოდა; სასკოლო სცენის გაფორმებაში მხატვრები – **ირმა შველიძე** და **თამარ დარისპანაშვილი** – დაეხმარნენ და პრემიერის დღეც დადგა.

პატარა მსახიობებმა – **დათო როსტომაშვილმა, შოთა ნათიძემ, ლუკა ალექსაშვილმა, კოტე ნარეკლიშვილმა, კობა მექვევრიშვილმა, მარიამ ბაზერაშვილმა, სალომე პაპუაშვილმა, მარიამ ქვლივიძემ, ნინო ტოპეშაშვილმა, ელენე ხუციშვილმა, მარიამ ბეჟიტაშვილმა, მაკა არავიაშვილმა, ანა ლუკაშვილმა, ნათია ვეშაგურმა, გელა ილაურმა, ლუკა მალასიძემ, მარიამ ნანუაშვილმა, გიორგი ბეგაშვილმა, ეკა ბეჟანიშვილმა, შახი მამედოვმა** – ისე ლამაზად წარმოადგინეს პიესა, ისე ლამაზად გააცოცხლეს მოქმედი პირები, რომ მოწვეული სტუმრების – მშობლების, პედაგოგების, ჟურნალისტების, ექიმების დიდი მოწონება და მქუხარე ტაში დაიმსახურეს.

სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს მოსწავლეებსა და მათ პედაგოგს პიესის დადგმაზე გაწეული მუშაობისათვის, კიდევ იმისთვის, რომ ბავშვობის დროიდან საყვარელი პოეტი და მისი შემოქმედება კიდევ ერთხელ გაახსენეს. მათ აღნიშნეს, რომ გივი ჭიჭინაძე სასწაულებრივად ახერხებდა პატარების ფაქიზსა და სათუთ სულიერ სამყაროში წვდომას, ამიტომ იქცა იგი მთელი საქართველოსათვის საყვარელ პოეტად.

ქალბატონმა ნანული ბილანიშვილმა აღნიშნა, რომ გაისად, 2014 წლის 12 აგვისტოს, გივი ჭიჭინაძის დაბადებიდან 80 წელი სრულდება. პოეტის ხსოვნის პატივსაცემად, საიუბილეოდ, მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები ახალ პიესას მოამზადებენ და მოწვეულ სტუმრებს სკოლის სცენაზე უჩვენებენ.

ლეილა არჩემაშვილი

„ვაჩუქოთ ერთმანეთს იმედი შენების“

ეს სტრიქონები ჟღერდა 2 ნოემბერს, N190 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მაია გიორგაძე**) აფხაზეთისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

წლის ულამაზესი დრო, შემოდგომა, უხვად აფრქვევდა ნაირგვარ ფერებს, თუმცა ვერ მალავდა აფხაზეთის მონატრებით გამოწვეულ სევდას და ნაღველს – განაცხადეს ღონისძიების ორგანიზატორებმა: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ქეთევან ჭელიძემ**, დაწყებითი კლასების მასწავლებელმა **მზია გელაშვილმა** და მუსიკის პედაგოგმა **ეკა ვარდიაშვილმა**.

ერთმანეთს ცვლიდა საინტერესო მუსიკალური ვარიაციები. ზღვის ტალღებზე, მზის სხივებში ჩაღვრილ გრძნობებს უმღეროდნენ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები; მათი მონატრებაც ზღვისფერი იყო: *„დღეს თუ არა ხვალ, კვლავ ერთად ვიქნებით, რადგან საუკუნეებს ითვლის ქართულ-აფხაზური მორდუობა, ძმადნაფიცობა. სიყვარული ლომსაც კი მოადრეკინებსო ქედს“* – იმეორებდნენ კომპოზიციის მონაწილეები. მათ თითოეულ მოძრაობაში, ფრაზაში ირეკლებოდა ეპოქის სათქმელი, მოფერებოდნენ ზღვას, რომელიც არც თუ ისე შორი ყოფილა. მაგნოლიის სურნელს ატანდნენ სოხუმზე ფიქრს, ნიჟარებში გამომწყვდეული მუსიკის გათავისუფლებას ლამობდნენ.

ამაღელვებელი იყო საინფორმაციო მენეჯერის, **ლუიზა ჭალიძის** მიერ შექმნილი სლაიდ-შოუ და ვიდეორგოლები, ფოიეს ამშვენებდა ხელოვნების მასწავლებლის, **შორენა აბრამიშვილის** მოსწავლეების საშემოდგომო ვერნისაჟი, დარბაზს კი – გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის, **ნინო გაჩავას** ნამუშევრები. მათში აისახებოდა შორეული და ახლობელი აფხაზეთის მონატრება.

მოწვეულ სტუმართა შორის იყო ნაძალადევის რაიონის დეპუტატი **თამარ კორძაია**, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ლტოლვილობის სიმძიმე.

სკოლის დირექტორმა და მოწვეულმა სტუმრებმა მომავალი თაობისათვის მსგავსი ღონისძიებების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: *„პედაგოგებმა უნდა გავაძლიეროთ მათში ჩადებული ის უმდიდრესი პოტენციალი და ენერგია, რომელმაც ჩვენი დიდებული ისტორია შექმნა“.*

ქეთევან ჭელიძე
ღონისძიების ორგანიზატორი,
ქართული ენის მასწავლებელი

ინფორმაცია

გოგონა, რომლისთვისაც ხატვა უდიდესი ჰობია

თამარ ჩერქეზიშვილი მე-19 საუკუნის მიწურულს რომ დაბადებულიყო, როგორც თვითონ ამბობს, თავადური წარმომავლობის გამო არც ისე წყნარი ცხოვრება ექნებოდა... ეს ისე, გვართან დაკავშირებით. იგი 1999 წლის 25 სექტემბერს დაიბადა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეა. მისი ჰობი ხატვაა... როგორც თვითონ გვიამბობს, ბაღის ასაკიდანვე ხატავს... სკოლაში ნიჭიერი მასწავლებლების ხელშეწყობით კიდევ უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა მისი შემოქმედება. ხელოვნების გარდა ინგლისური ენა და მათემატიკა იტაცებს და წარმატებებიც აქვს ოლიმპიადებსა და კონფერენციებზე. რამდენიმე წელია მისი ნახატები ზედიზედ იგზავნება სხვადასხვა თემატურ გამოფენებზე რაიონში, რესპუბლიკაში და რესპუბლიკის გარეთ. დაჯილდოებულიცაა სხვადასხვა დიპლომებით.

წლევანდელი წელი განსაკუთრებული გამოდგა თამარისთვის. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით ჩატარდა ბავშვთა VIII საერთაშორისო გამოფენის – „საკუთარ მიწაზე“ – შესარჩევი ტური, რომელიც ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში იმართება, ბელორუსიის „მწვანე ჯვრის“ ორგანიზებით. ამ გამოფენაზე, ყოველწლიურად, 25-35 ქვეყნის მოსწავლეთა 15000-ზე მეტი ნამუშევარი იგზავნება. მიმდინერე წელს 31 ქვეყანა მონაწილეობდა 15459 ნამუშევრით. საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, უკვე 3 წელია, თანამშრომლობს გამოფენის ორგანიზატორებთან. 2013 წლის გამოფენა ჩვენთვის იღბლიანი აღმოჩნდა – თოხლიაურის საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ ჩერქეზიშვილი კონკურსის დიპლომანტი გახდა ნახატით „უკვდავი კულტურა“. საამაყოა, რომ საქართველოდან მხოლოდ და მხოლოდ თამარია დაჯილდოებული გამოფენის სპეციალური დიპლომით.



თამარის ნამუშევრები, 2 წელია, იგზავნება ჩეხეთში, ბავშვთა სურათების ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენებზე „ლიდიცე“, პოლონეთში საერთაშორისო გამოფენაზე „წყალი – სიცოცხლის წყარო“, უნგრეთში – ბანსკოს გამოფენა-ფესტივალზე, თბილისის ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში სხვადასხვა გამოფენებზე. თავის დიდ წარმატებებს იგი ხელოვნების პედაგოგებს: **მანანა ტაბატაძეს, ნათია გულისაშვილს** და **დავით ივანიშვილს** უმადლის.

ნიჭიერი მხატვარი კვლავ საკონკურსო ნამუშევრებზე მუშაობს, იგეგმება მისი პერსონალური გამოფენა საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში. გვინდა წარმატებები ვუსურვოთ თამარს შემდგომ ცხოვრებაში.

თამარ ჯაბადარი
საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

სტუმრად შემოდგომასთან

ბარაქიანი შემოდგომის ფარჩაკაბაში გამოწყობილი „ნაყოფიერების ქალღმერთი“ გულღიად ესალმება სტუმრად მოსულ დამთვალიერებლებს: სკოლა-ლიცეუმ „სხივთან“ არსებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლებს, „სხიველ“ მოსწავლეებს, პედაგოგებს, პატარებს...

საოცარი ფანტაზია, შემოქმედებითი ნიჭი, სითბო-სიყვარული იმზირება 5-6 წლიანი ასაკის ჯგუფის „ანბანელას“ აღსაზრდელების მიერ შექმნილი ნაკეთობებიდან. დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭული, ოთხივე კედელი ახალ-ახალ სიუჟეტურ კომპოზიციებს გვთავაზობს.

შემოდგომის ნამდვილ ფერად ფოთლებს ტოლს არ უდებენ ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი სხვადასხვა ფორმის ფოთლები, რომელთაც ხალისიანი სიცოცხლე აჩუქეს „ანბანელას“ პატარებმა. „ხელმარჯვე ოსტატები“ – **მარიკო ბუტიკაშვილი** და **ბარბარე ტუგულაშვილი** – თავიანთ ნამუშევრებს წარმოგვიდგენენ. კარტოფილის წრუწუნები კაკლითა და თხილით სავსე კალათებს დარაჯობენ. პატარა ჩოჩრები დაბაკუნობენ თხილით, კაკლითა და რკოთი მოფენილ მინდორში; კედლები დაუმშვენებიათ ხელოვნების პედაგოგის **ანი ხარაშვილის** ხელმძღვანელობით ზეთოვან აკვარელში და სათამაშო ცომისგან შექმნილ ერთობლივ ნამუშევრებს – „სოფლის პეიზაჟი“, ნახერხით, ფანქრის ნათალითა და გოგრის თესლით შექმნილ „ჯამბაზებს“. კრეპის ფურცლებით დამშვენებულ ტყეს, თევზები რკოს ქუდებითა და ფოთლების ქერცლით იწონებენ თავს!

რა არ შეუქმნიათ თავის საქმეზე შეყვარებული ნიჭიერი პედაგოგის **ნანა ქაშიბაძის** და მისი ასისტენტის **ხათუნა მარიდაშვილის** აღსაზრდელებს: კიტრისა და პარკი ლობიოს კომფორტული ახალი მარკის მანქანა, სამგანზომილებიანი აპლიკაციები – გოგრა, საზამთრო, მსხალი და ვაშლი – ფერადი ფურცლებითა და ერთჯერადი ჭიქებით, კარალიოკის მატლები, თხილის და წაბლის მუხლუხოები, დაფნის გვირგვინით დაჯილდოებული ციტრუსები – ლიმონი და ფორთოხალი; კომში, ვაშლი და მსხალი გამოპრანჭულან ფერად-ფერადი საქსოვი ძაფებისა და სიმინდის ულვაშების თმებით.

ბადრიჯნის ჯენტლმენი პინგვინები ყვავილოვანი კომბოსტოს თაიგულებით ულოცავენ „თბილისობას“ და შემოდგომის დღესასწაულს დიდ-პატარას, მათ გასაგონად ხმამაღლა მღერის კიტრის ნიანგი გენა – „რა კარგია შემოდგომა, დივლიდალალეო!“.

საოცარი კომპოზიციაა – უღრან ტყეში ფიფქიას იცავენ გირჩების ჯუჯები, ქოხი ხისა და ბავშვების საყვარელი მარილიანი ჩხირებით აუგიათ. **რამაზან მგელაძის** ბანანის ძაღლი სალათისფერი ჰალსტუხით, პლასტილინითა და სათამაშო ცომით გაკეთებულ საჭმელს ყნოსავს და ყეფით ამცნობს საზოგადოებას: „ტყუილად კი არ ვდგევარ აქ, ხარიხაზე ხის ჩხირებზე აგებული ყურძნის მარცვლის ჩურჩხელები შრებიანო!“

ყვავილოვანი კომბოსტოს ტანის თეთრი კრავი, ბადრიჯნის თავით და რეზინის მუყაოს დაჭყეტილი საყვარელი თვალებით ათვალიერებს მოსულ სტუმრებს. კარტოფილის ზღარბუნია ვერმიშელის ეკლებით მიიპარება წითელი პამიდვრისთავიან კვერცხისცილისფეხება სოკოებისაკენ. ეს 5 წლის **ალექსანდრე ბეჟუაშვილის** ფანტაზიის ნაყოფია. **დამიანე მაჭარაძე** კარტოფილის მატარებლის გამომგონებელია, სტუმრებს აქტიურად ეპატიჟება და თავის ხელოვნებაზე ესაუბრება. თავს იწონებენ **ლუკა თორთლაძის** შექმნილი ხახვისთავა კარტოფილის რობოტები, სვანურქუდიანი ქართლიდან ჩამოსული მუცელგაბერილი კვახები, რომლებსაც გვერდს უმშვენებენ ნაჭრისგან შეკერილი არანაკლებ საინტერესო სეხნიები. ბდღვრიალა მზეში წიწიბურები იმალებიან. ხის კოვზის თვალხატულა ფერიას შემოდგომის ქარი უნწავს ქარვისფერ კულულებს, წიფლის ნაყოფითა და ფოთლების ფაფრით დამშვენებული ლომი წაბლის ცხვირით ყნოსავს შემოდგომის სურნელს! ალისფერქუდიანი საფრთხობელა ამაყად იცავს ბოსტნეულით სავსე კალათას.

აკიდო, ჩხა და გიდელი თვალნათლივ ნახეს სტუმრად მოსულმა პირველკლასელებმა, მათ შორის „ანბანელას“ აღზრდილებმა, „ცეროდენას“ პატარა სტუმრებმა – **ლიზი კურტანიძემ, ზურაბ სამაკაშვილმა** და **იაკობ ძიძიგურმა** სამახსოვრო სურათები გადაიღეს ყურძნით სავსე გოდრებით დატვირთულ ურემში შებმულ ხარებთან.

წითელი ბულგარულის სვანურქუდიანი კარტოფილის კაცუნები ანიმაციური ფილმის გმირებს განასახიერებენ „სათამაშოების ისტორიიდან“. ეს სვანი ძმების – **ნიკოლა და იოანე ხვისტანების** – შედევრია, ბიჭები სიხარულით ამხელენ საიდუმლოს – სვანეთიდან ჩამოვიტანეთო ჩვენი გმირები.

ბედნიერებაა ამდენი სიხარული გააჩუქო და უკანვე მიიღო. ეს კი „ანბანელას“ პედაგოგსა და მის აღსაზრდელებს უდავოდ შეუძლიათ!

ქეთევან ჭითავა
სკოლა-ლიცეუმ „სხივის“ პედაგოგი

სპორტი

ტურნირი კერძო სკოლებისთვის

სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ მორიგი სპორტული ღონისძიება ჩაატარა – კერძო სკოლებისთვის შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, რომლის დევიზიც იყო „ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია“. ამჯერად აქცენტი კერძო სკოლებზე შეგნებულად შეჩერდა, რადგან, რა დასამალია და იქ სპორტული ცხოვრება ვერ დგას სათანადო დონეზე (ამაზე ჩვენი გაზეთიც წერდა წინა წლებში, თუმცა მდგომარეობა დიდად არ გამოსწორებულა). მით უფრო, ინიციატივაც მათგან მოდიოდა – მათვე დაწერეს დებულება და გააკეთეს პროექტი. შეჯიბრებას გლდანში მდებარე ხელოვნურსაფარიანმა მოედანმა უმასპინძლა (მთავარი მსაჯი – **ბიჭიკო მაჩაბლიშვილი**). მასში ოთხი კერძო სკოლა მონაწილეობდა – „მარჯი“, „ერუდიტი“, „ალმასი“ და „წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობისა“, ფინანსურად კი დაეხმარათ ფონდი „თბილისის მოზარდთა სახლი“, რადგან მონაწილეთა უმრავლესობა („მარჯის“ გარდა – ყველა) მისი წევრია. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა „ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების შემწეობის ფონდის“ თავმჯდომარე **დავით გოჩიტაშვილი**, რომელთანაც ფედერაციას პარტნიორობა აკავშირებს.

ეს ოთხი კლუბი თავდაპირველად წილისყრამ ასე დააწყვილა: „მარჯი“-„ალმასი“; „ერუდიტი“-„წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა“. ნახევარფინალში წყვილებში პირველად დასახელებულმა გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით – 3:2 იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ, წაგებულები კი ავტომატურად გავიდნენ მესამე ადგილზე და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. ჩემპიონის ტიტული „მარჯიმ“ მოიპოვა, რომელმაც ფინალში მეტოქეს 5:3 მოუგო.

სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია სამომავლოდაც გეგმავს ანალოგიურ შეჯიბრებებს, თუმცა არა მხოლოდ მინი-ფეხბურთში, თან გაცილებით ფართო მასშტაბით. სამომავლოდ უკვე გაფორმდა ხელშეკრულება სპეციალური დაცვის სამსახურთან, რომელიც სპორტულ ღონისძიებებზე უსაფრთხოებას დაიცავს. სპორტის ეროვნულ ფედერაციას სხვა ღონისძიებებიც აქვს დაგეგმილი, უახლოესი მათგანი კი მცხეთაში საქალაქო ორგანიზაციის დაარსება იქნება.

სალაძის საიუბილეო ტურნირი

გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების განახლებულმა ეროვნულმა ცენტრმა მეთხუთმეტედ უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ **მიხეილ სალაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირს ჭაბუკთა შორის, რომელშიც მასპინძლებთან ერთად, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც გამოდიოდნენ, მონაწილეთა რაოდენობამ 250-ს გადააჭარბა.

ჩვენი სპორტსმენებისთვის ეს სეზონის ბოლო სტარტი იყო, რომელიც მიზნად საგაისო სეზონისთვის მზადებას, ნაკრების ბირთვის შერჩევას ისახავდა. გაისად ჩვენებს სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ცხადია, ასეთ მასშტაბურ სეზონს შემადგენლობაც სათანადო სჭირდება. მით უფრო, შეჯიბრებები ძირითადად ზაფხულშია კონცენტრირებული ანუ შემჭიდროებულ ვადებში ტარდება და მწვრთნელებმა, მინიმუმ, ორი გუნდი მაინც უნდა დაკომპლექტონ.

ცხადია, მედლების უმეტესობა მასპინძლებმა დაიტოვეს, თუმცა ჩვენთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ გამოჩნდა წალკის გუნდი. მთლად უკმაყოფილო არც სომხები დარჩებოდნენ, რადგან 7 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. თან, ერთ წონაში – 54-ში, სულაც სომხური ფინალი გაიმართა. რაც შეეხებათ აზერბაიჯანელებს, მათ ერთი ვერცხლი ირგუნეს. ქართველთაგან ტურნირის ჩემპიონები **ნუგზარ წურწუმია** (46), **ლერი აბულაძე** (50), **გიორგი კურტანიძე** (58), **გიზო სამხარაული** (63), **გივი ქართველიშვილი** (69), **გურამ ხეცურიანი** (76), **დავით გოგიძე** (85) და **ზვიად პატარიძე** (100) გახდნენ, სომეხთაგან – **სერგეი სიმონიანი** (42) და **არარატ მანუჩარიანი** (54).

ჭაბუკთა ქართულ-სომხური წარმატება

ეს უქმეები ფრიად დატვირთული აღმოჩნდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებისთვის, რომლებმაც ორ ტურნირში იასპარეზეს, თბილისსა და ერევანში. თბილისში ჩვენი სახელოვანი ფალავნის, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ჩემპიონ ლერი ხაბელოვის სახელობის ტურნირში გამოვიდნენ, მეორე ნაწილმა კი ერევანში იჭიდავა რუდოლფ კარაპეტიანის სახელობის მემორიალში.

ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის ტურნირი წლეულს მეშვიდედ ჩატარდა და ამჯერად მასში უცხოელებიც გამოდიოდნენ – ჩამოვიდა აზერბაიჯანის ნაკრები. ელოდნენ ყაზახებსაც, მაგრამ მათ ბოლო წუთს უარი შემოგვითვალეს. ტურნირი მაინც საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა – 217 მოზარდი ასპარეზობდა. შეჯიბრება 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის ჩატარდა და 12-დან 2 ოქრო სტუმრებმაც ირგუნეს – **ალი ჰუსეინოვმა** (54) და **ზელიმხან ვალიევმა** (63). ერთი ჩემპიონი გაუხდა თავად ლერი ხაბელოვის სახელობის კლუბსაც – **თორნიკე კვინიკაძე** (85), დანარჩენ წონებში კი გამარჯვებულები გახდნენ: ყვარლელი **თორნიკე ასაბაშვილი** (35), გორელი **ნიკა კვინიკაძე** (38), ამბროლაურელი **ვლადიმერ გამყრელიძე** (42), კასპელი **დანიელ მარქარაშვილი** (46), რუსთაველი **თემურ გაწერელია** (50), ქარელელი **ჯანგირ ახმედოვი** (69), ქუთაისელი **მექი სიმონია** (76) და გორელი **ჯონი პეტრიაშვილი** (100).

ერევანში ჩვენმა ჭაბუკებმა 9 მედალი მოიპოვეს – 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. იქ ჩემპიონები **გიორგი ხაჩიძე** (42), **თეიმურაზ ვანიშვილი** (46), **შმაგი თოდუა** (54), **მირზა სხულუხია** (69), **მოგელი მეზვრიშვილი** (85) და **გივი მაჭარაშვილი** (100) გახდნენ, მეორეზე **ზაურ ბერაძე** 985) გავიდა, ბრინჯაოს მედლებს კი **მამუკა ჩაჩუა** (54) და **მურად თოფჩიშვილი** (76) დაეუფლნენ.

სტუ-ს მესამე მოგება

საერთაშორისო სტუდენტურ ლიგაში მოასპარეზე თსუ-მ მესამე შეხვედრა მოიგო – ტექნიკოსებმა ამჯერად სახლში როსტოვის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი 99:81 დაამარცხეს. ჩვენებმა მთელი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ. განსაკუთრებით კარგად **რიჩარდ მათიაშვილმა** ითამაშა, ვინც 28 ქულითა და 21 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა, თუმცა ერთი შედეგიანი გადაცემაც რომ გაეკეთებინა, სამმაგ დუბლსაც შეასრულებდა. ორმაგი დუბლის ავტორი გახდა რევაზ დიდიაც – 13 ქულა და 10 პასი. საინტერესოა, რომ მასაც ერთი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

სტუ-მ პირველი წრე სამი მოგებითა და 2 მარცხით დაასრულა, რითაც მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი შეინარჩუნა, რადგან იქ ქვეჯგუფებიდან პირველი სამეული გადის.

ხაბარელის სახელობის

ქარელის ახალაშენებულმა სასპორტო სკოლამ წარმატებით უმასპინძლა 1998-99 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა სარეიტინგო ტურნირს ძიუდოში, რომელიც ამ რაიონის ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტსმენის, ძიუდოში ოლიმპიურ ჩემპიონ **შოთა ხაბარელის** სახელს ატარებს. სარეიტინგო შეჯიბრებები ჩვენი მოზარდებისთვის თავის გამოჩენის მშვენიერი შანსია, სადაც ქულების გარდა, სატურნირო პრაქტიკასაც იღებენ. თან ქულები რეიტინგში წინ წაწევაში ეხმარებათ, რაც უცხოურ შეჯიბრებებში გამოსვლის უმთავრესი წინაპირობაა.

ახლანდელმა ტურნირმაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ცხარე ბრძოლებიც ბლომად იყო იმის მიუხედავად, რომ ნაკრების რამდენიმე ლიდერს არ უჭიდავია. წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: **ნიკა ალხაზაშვილი** (46; იმერეთი), **თემურ ნოზაძე** (50; შიდა ქართლი), **გელა გარაყანიძე** (55; თბილისი), **ვანო მახათაძე** (60; სამცხე-ჯავახეთი), **ალექსანდრე სულაკაძე** (66; იმერეთი), **გოგა ქევხიშვილი** (73; თბილისი), **გიორგი გოგოლიძე** (81; იმერეთი) და **ზურაბ ურთაშვილი** (+81; მცხეთა-მთიანეთი).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თვრო გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. ხილ-ბოსტნეული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური საკრავები
4. ძვეწარმავლები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუნთოვანი სისტემა
7. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
8. ძველი რომი
9. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამყაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჩულე
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით ალმაშენებელი
25. გრიგოლ რობაქიძე

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

ბ-ნ ნიგნის თარო

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი.

სიახლე



ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წიგნში ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი – 4 ლარი.

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

თამაზ ვასაძე

9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი



მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი

„ვიკინგები“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VII ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK